



This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library hosted by the [Institute for the Study of the Ancient World Library](#) in partnership with the [Georgian National Museum](#).


- Author: Chartolani, Sh. / ჩართოლანი, შ. / Чартолани. Ш.Г.
- Title: სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები (კატალოგი)ტომი I / Археологические памятники эпохи бронзы из сванети (каталог) I
- Publication Date: 1977
- Publisher: Georgian National Museum, Georgian National Academy of Sciences
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_e02c6ed9ba

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

უმთხ ჩხრთოლანი

სვანეთის
ბრინჯაოს ხანის
არქეოლოგიური
ძეგლები



«მეცნიერება»
1977

WE
3794

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

შ ო თ ა ნ ა რ თ ო ლ ა ნ ი

სვანეთის ბრინჯაოს წანის
არქეოლოგიური კვლევები

I

(ვ ა ტ ა ლ ო ბ ი)

18527



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1977




ნაშრომს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვს ისტორიული კოლხეთის მთიან ზოლში, კერძოდ, სვანეთში სხვადასხვა დროს აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები. გაშუქებულია ამ ძეგლების აღმოჩენისა და მეცნიერული შესწავლის ისტორია; მოცემულია ცალკეული ნივთების აღწერა-დახასიათება; დაზუსტებული და ნაჩვენებია ბევრი მათგანის აღმოჩენის დრო, ადგილი და პარობები.

წარმოდგენილი მასალა როგორც ტექსტში, ისე საილუსტრაციო ტაბულებში დალაგებულია ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური პრინციპის მიხედვით. კატალოგს თან ერთვის უმთავრესი არქეოლოგიური აღმოჩენების რუკა.

წიგნი განკუთვნილია არქეოლოგებისა და კავკასიის უძველესი მატერიალური კულტურის ისტორიის მკვლევართათვის.

ჩ 237

100/77



შ ე ს ა ვ ა ლ ი

(ძეგლების აღმოჩენისა და შესწავლის ისტორიისათვის)

საქართველოს მთიანეთი, მისი ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული რეგიონი — სვანეთი, სამამულო ისტორიოგრაფიაში ნაკლებადაა შესწავლილი. ეს გარემოება გაპირობებულია, ერთი მხრივ, ისტორიული, წერილობითი წყაროების სიმცირით და, მეორე მხრივ, სპეციალური კვლევის უკმარობით. საქართველოს მთისა და ბარის ისტორიის შესწავლის თანაფარდობაში არსებული სერიოზული ხარვეზი განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს წინარქრისტიანული და წინარქრისტიული ეპოქების მაგალითზე. აღნიშნული ხარვეზის შევსება შესაძლებელია მხოლოდ მთის ზოლში დღემდე შემონახული მდიდარი მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების კომპლექსური შესწავლის მეშვეობით. ამ კულტურულმა მემკვიდრეობამ დიდი ხანია მიიპყრო როგორც ქართველი, ასევე სხვა ეროვნების მკვლევართა ყურადღება და დღესაც მდიდარ მასალას იძლევა სხვადასხვა დარგის მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის. სვანური კონკრეტული მასალების საფუძველზე, არაერთი ზოგადი ხასიათის მეცნიერული დებულება დამუშავდა ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ხელოვნებათმცოდნეობის, არქიტექტურის, რელიგიის ისტორიისა და მეცნიერების სხვა დარგებში. სამწუხაროდ, იგივე არ ითქმის სვანეთის წიაღისეული ძეგლების შესახებ, რომელთაც დიდი ხანია შემთხვევითი მონაპოვრების სახით იჩინეს თავი, თუმცა უკანასკნელ დრომდე საგანგებო კვლევის საგნად არავის გაუხდია. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ლენინგრადელი არქეოლოგის ევგენი ბორისის ძე დეგენ-კოვალევსკის ხელმძღვანელობით (ჭუბერის ხეობაში, რკინის ძველი მეტალურგიული საწარმოს ადგილზე) 30-იან წლებში ჩატარებული მცირე არქეოლოგიური გათხრები, მის მიერვე გამოქვეყნებული სათანადო პუბლიკაცია, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

დეგენ-კოვალევსკის შემდეგ, თითქმის 60-იან წლებამდე, განსა-

კუთრებით კი ადრინდელ პერიოდში, სვანეთში არქეოლოგიური კვლევა-ძიება, შეიძლება ითქვას, საერთოდ, არ განხორციელებულა, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილებში მეტად საყურადღებო ძეგლები იქნა შემთხვევით აღმოჩენილი. ამ მონაპოვრების ერთი ნაწილი უკვე დაკარგულია, მეორე ნაწილი დღემდე შემოინახა იმის წყალობით, რომ მოსახლეობა ამ ნივთებს სწირავდა და იცავდა ადგილობრივ ეკლესიებში, აბარებდა მუზეუმებს, სკოლებს, სვანეთში მომუშავე სხვადასხვა დარგის მკვლევრებს ან ინახავდა ოჯახში, როგორც რელიკვიას.

ამასთან უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სვანეთის არქეოლოგიური ძეგლებისადმი საერთო მეცნიერული ინტერესი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარშივე ჩანს საქართველოსა და კავკასიის ძველი ისტორიის მკვლევართა ნაშრომებში. მართალია, „არქეოლოგიური ძეგლების“ ცნების ქვეშ, ამ ავტორებთან, ძირითადად, მხოლოდ შუასაუკუნეების მიწისზედა მატერიალური კულტურის ძეგლებია განხილული, მაგრამ იშვიათად მაინც ქვეყნდება შემთხვევითი, მიწის წიაღიდან ამოღებული წმინდა არქეოლოგიური ნივთები. ამ რიგის ცნობებს გვაწვდიან: დ. ბაქრაძე, ექ. თაყაიშვილი, პ. უვაროვა, ი. ბარტოლომეი, გ. ფილიმონოვი და სხვ. ცალკეული ცნობები არქეოლოგიური ნივთების აღმოჩენათა შესახებ გვხვდება აგრეთვე ქართულ და რუსულ პერიოდულ გამოცემებში („კვალი“, „დროება“, „ივერია“, „Кавказ“, „Терек“ და სხვ.).

1353 წელს სვანეთში იმოგზაურა ი. ბარტოლომეი—რუსმა კოლექციონერ-ნუმიზმატმა. მოგზაურობის დღიურებში «Поездка в Вольную Сванетию» (ЗКОИРГО, Тиф., 1855, кн. III.) დაცულია ცნობები სვანეთის ეკლესიებში თავმოყრილ არქეოლოგიურ მასალებზე და მათ შორის ბრინჯაოს ნივთებზე: ბრინჯაოს სანთებლის (ჩირადანი), კვერთხისთავეების, ისრისპირების, სპილენძის შუბების პირების, ცულებისა და სხვათა შესახებ (გვ. 165, 166, 181, 196). ეს ცნობები ჩვენთვის იმდენადაა საყურადღებო, რამდენადაც ი. ბარტოლომეის მიერ აღწუსებული მასალებიდან ზოგიერთი დღეისათვის უკვე დაკარგულია.

ისტორიულ ნარკვევში „Сванетия“ (ЗКОИРГО, Тиф., 1864. VI) ცნობილი ქართველი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე ძირითად ხაზებში წარმოგვიდგენს სვანეთის ისტორიული განვითარების პროცესს უძველესი დროიდან, ვიდრე XIX საუკუნემდე.

დ. ბ ა ქ რ ა ძ ე 1860 წელს მოგზაურობდა სვანეთში. როგორც ნარკვევშიც აღნიშნავს, დაინტერესებული ყოფილა სვანეთის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ეპიგრაფიკული და სხვა მასალების აღგილზე გაცნობით. მაგრამ ძირითადად მაინც მისი ინტერესის სფეროში ქართული ძველი წარწერების ნიმუშთა გაცნობა-შესწავლა შედიოდა.

ამასთან, სტატიაში მოაქვს ჩვენთვის საინტერესო ცნობები სვანეთის ზოგიერთ ეკლესიაში დაცული არქეოლოგიური ნივთების შესახებ. გარდა იმისა, რომ ჩამოთვლის მათ სახეობებს და ზოგჯერ რაოდენობასაც ასახელებს, ამაზე შორს ავტორი არ მიდის (გვ. 35, 36, 37, 41, 58).

1876 წელს მოსკოვში გამოიცა გ. ფ ი ლ ი მ ო ნ ო ვ ი ს წიგნი — «Сванетия в археологическом отношении». არქეოლოგიის დღევანდელი მნიშვნელობით ასეთი სათაური არ შეესაბამება წიგნის შინაარსს. წინამორბედი მკვლევრების მსგავსად, გ. ფილიმონოვი განიხილავს არა წიაღისეულ განათხარ ძეგლებს, არამედ საკულტო ნაგებობებსა და ეკლესიებში დაცულ ნივთებს: ოქრომჭედლობისა და ხის მხატვრული დამუშავების საუკეთესო ნიმუშებს, ხელნაწერებს და ა. შ. ავტორი მხოლოდ სხვათა შორის მოიხსენიებს ზოგიერთ ეკლესიაში დაცულ მძივებს, ისრისპირებს, შუბისპირებს, ქანდაკებებს და სხვა მასალებს, რომლებიც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, წინარექრისტიანულ ან, შესაძლებელია, წინარეისტორიულ ეპოქებს განეკუთვნებიან (გვ. 19, 28, 54).

ამავე ხასიათის საინტერესო ცნობებს გვაწვდის ივ. მ ა რ გ ი ა ნ ი 1897 წლის ივნისში მესტიაში გზის გაყვანის დროს შემთხვევით აღმოჩენილ რკინისა და ბრინჯაოს ნივთებზე. ბრინჯაოს ნივთებს შორის მოიხსენიებს — „ლახვარს“, ხანჯალს, საომარ ცულებს, ფრინველის პლასტიკურ გამოსახულებას, რგოლებს, სადგისებს და ა. შ. („წერილი სვანეთიდან“ — „ივერია“, 1897, VIII, 21, № 171).

1885 წელს სვანეთში იმოგზაურა კავკასიის სიძველეთა ცნობილმა მკვლევარმა პ. უ ვ ა რ ო ვ ა მ («Поездка в Пшавнию, Хевсуретию и Сванетию», МАК, X, М., 1904.). მან საკმაოდ ვრცლად აღწერა აქაური ეკლესიები და მათში თავმოყრილი ნივთიერი მასალები, მათ შორის არქეოლოგიური ნივთები: ბრინჯაოსა და რკინის ცულები, კვერთხისთავები და სხვ., გამოაქვეყნა ზოგიერთი მათგანის ფოტოსურათი (დასახ. ნაშრომი, გვ. 140—141. სურ. 62—66). აქვე შევნიშნავთ, რომ ავტორი ამ ნივთების დათარიღებას არ იძლევა და რიგ შემთხვევაში

ვერ არის ზუსტი არქეოლოგიური ნივთების დანიშნულების განსაზღვრაში, ასე მაგალითად უშგულში გამოვლენილი ბრინჯაოს სატეხი მასშუბისპირად აქვს წარმოდგენილი (გვ. 141, სურ., 66) და სხვ.

რევოლუციამდელ პერიოდში სვანეთის არქეოლოგიური მასალების შეგროვებისა და შემდგომ გამომზეურების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის აკად. ექვთიმე თაყაიშვილს. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ 1910 წელს მოეწყო არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში. ექსპედიციის მიზანს შეადგენდა: ეკლესიების შემოვლა, მათში დაცული სიძველეების ფოტოგრაფიული გადაღება, არქეოლოგიური, ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება (ექსპედიციის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგები მოცემულია ექვ. თაყაიშვილის წიგნში — „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“, პარიზი, 1937).

ამ ნაშრომში (გვ. 85—436) თავმოყრილი და განხილულია სვანეთის ეკლესიები და მათში დაცული ხატები, ჯვრები, ხელნაწერები და საეკლესიო ინვენტარი, რაც ექსპედიციის ყურადღების ცენტრში ყოფილა მოქცეული. ნივთიერი მასალების ნუსხაში დასახელებულია აგრეთვე რიგ ეკლესიებში შემონახული მცირერიცხოვანი არქეოლოგიური მასალები: ბრინჯაოს ცულები, ქინძისთავეები, ლახტის თავეები და სხვ. გარდა ამისა, ექსპედიციას ადგილზე მნიშვნელოვანი რაოდენობით შეუძენია „ბრინჯაოს ცულები კელტის რიგისა“... „თმის ქინძისთავეები ცხოველების სურათებით“, „პატარა ქვაბები“ და სხვ. არქეოლოგიური ნივთები ძველ სასაფლაოებიდანაა ამოღებული და, ექვ. თაყაიშვილის სამართლიანი განსაზღვრით, წინარექრისტიანულ ხანას განეკუთვნებიან (გვ. 432). „ეს კულტურა, — აღნიშნავს ავტორი, — იგივეა, რაც ყობანის კულტურა ოსეთში“ (გვ. 436). ექვ. თაყაიშვილის მიერ სვანეთიდან ჩამოტანილი ნივთების ერთი ნაწილი ამჟამად საქართველოს სახ. მუზეუმში ინახება.

ავტორი ამ ნაშრომშივე მოიხსენიებს სვანეთში ოქროს სხვადასხვა მონეტების აღმოჩენის ფაქტს და გამოთქვამს ვარაუდს ბერძნული მონეტების მინაბადების სვანეთის ოქროსაგან სვანეთშივე მოჭრის შესახებ (გვ. 436).

იმ დროისათვის სვანეთში აღმოჩენილმა შემთხვევითმა არქეოლოგიურმა მონაპოვრებმა ექვ. თაყაიშვილს საფუძველი მისცა გამოეთქვა წინასწარი ვარაუდი იმის შესახებ, რომ ეკლესიებისათვის შემოწირული არქეოლოგიური ნივთები ადგილობრივი ძეგლებიდან

მომდინარეობდა და, როგორც ავტორი აღნიშნავს, „არქეოლოგიურ-მა გათხრამ სვანეთში დიდი შედეგები უნდა მოგვცესო“ (გვ. 436).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სვანეთის მეცნიერული შესწავლისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა და, შესაბამისად, მეტი ყურადღება დაეთმო ამ მხარის არქეოლოგიურ გამოკვლევას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სისტემატური დაზვერვითი ხასიათის არქეოლოგიური კვლევა-ძიება მხოლოდ 60-იანი წლებიდან დაიწყო.

შედარებით ადრინდელი კვლევა-ძიებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ბ. დეგენ-კოვალევსკის მუშაობა ზემო სვანეთში 30-იან წლებში (Б. Ковалевский, Страна снегов и башен, Прибой, 1930).

ბ. დეგენ-კოვალევსკიმ ჭუბერის ხეობაში მიაკვლია რკინის ძველ-მეტალურგიულ ობიექტებს, არქეოლოგიურად გათხარა ერთ-ერთი მათგანი — შხიბარის მეტალურგიული ბორცვი და განაზოგადა კიდევ ნაშრომში «К истории железного производства, по материалам раскопок Чуберской железоплавильны» (изв. ГАИМК, 120, 1935). ეს იყო სვანეთის არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენისა და საგანგებო შესწავლის თითქმის პირველი ცდა.

ნაშრომში, ჭუბერის რკინის სადნობ-სამჭედლოს საფუძვლიანი განხილვისა და კონკრეტული ანალიზის საფუძველზე, დადასტურებულია შუასაუკუნეების სვანეთში რკინის წარმოების განვითარება, როგორც ეჭვმიუტანელი ფაქტი.

ნაშრომში მოცემულია არა მხოლოდ სვანეთის ამ არქეოლოგიური ძეგლის ტიპოლოგიური მაჩვენებლები, არამედ შეძლებისდაგვარად დადგენილია მასთან დაკავშირებული საზოგადოებრივ-საწარმოო პროცესები და, საერთოდ, რკინის მეტალურგიის სოციალური შედეგები. ავტორს მიაჩნია, რომ განვითარების საწყის ეტაპზე რკინის მეტალურგია გამოუთქმავი ჩანს მიწათმოქმედებისაგან; მეტალურგიული წარმოება სრულდება თემს შიგნით. თუმცა კი, დაწყებული ჩანს პროფესიის მემკვიდრეობით გადამცემ მდნობელ-მჭედელთა კატეგორიის შექმნაც.

ნაშრომში ავტორმა მოგვცა ძეგლის ზოგადი დათარიღებაც. მისი აზრით, ჭუბერის რკინის სადნობ-სამჭედლო წარმოების დასასრული X—XI სს-ით თარიღდება; ამჯერად ჩვენთვის ეს ნაშრომი იმით არის შესანიშნავი, რომ მასში ავტორი განიხილავს რა სვანეთში რკინის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების გზებს, ყურადღებას ამახვილებს ამ კუთხეში ბრინჯაოს მეტალურგიის არსებობაზე.

ზოგიერთი კონკრეტული მონაცემების საფუძველზე გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ რკინის მეტალურგია სვანეთში განვითარებულია ბრინჯაოს წარმოების საფუძველზე. გარდა ამისა, სრულიად სამართლიანად მიაჩნია ავტორს, რომ საზოგადოებრივ-საწარმოო გზაც ბრინჯაოს წარმოებიდან რკინის წარმოებისაკენ მიემართებოდა.

1930 წელს ჟურნალმა „დროშამ“ გამოაქვეყნა ე. გაბლიანის წერილი — „არქეოლოგიური გათხრები სვანეთში“ („დროშა“, 1930, № 18, № 19). სათაურის მიხედვით, თითქოს, უნდა იგულისხმებოდეს აქ წარმოებულ გათხრებზე, ან მის შედეგებზე, რაიმე განზოგადებაზე, მაგრამ სინამდვილეში წერილი მხოლოდ შემთხვევით მიგნებულ არქეოლოგიურ ძეგლსა და ნივთებს, და, ამასთან დაკავშირებით, აქვე არამეცნიერულ დონეზე ჩატარებულ მეტად მცირე მასშტაბის დაზვერვითი ხასიათის გათხრებს ეხება.

ეს არქეოლოგიური ძეგლი, როგორც დასახელებული წერილიდან ირკვევა, იყო სოფ. ქვედა იფარში აღმოჩენილი რკინის სამჭედლო და მისი ნაშთები. ავტორის გადმოცემით, სამჭედლოს შემოგარენი, თითქმის ოთხი ჰექტარის რადიუსით, მოფენილი ყოფილა წიდეებით, თიხის მილების ნამტვრევებით, რკინის სხვადასხვა საგნებით, მძივებით, ნახშირით, მადნეულით და ა. შ. ნახშირის, წიდებისა და მილების ნამტვრევების შემცველი მიწის ფენა 1 საყენი სიმძლავრისა ყოფილა.

ავტორი აღნიშნავს: „ამ საინტერესო ნაშთის ნახვის შემდეგ მე დავრწმუნდი, რომ აქ მეტი სიფრთხილე და სერიოზული გათხრები იყო საჭირო სპეციალისტების ხელმძღვანელობით და ამიტომ შევაჩერე მუშაობა“.

ავტორი მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის იფარში, წვირმიში, ჭვიბერში სხვადასხვა დროს და შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების შესახებ. ეს მასალებია: სხვადასხვა იარაღი, ლითონის ჩაქუჩები, მაკრატლები, ბრინჯაოს, ოქროს, ვერცხლის მრავალი ნივთი, მძივები, ჩამოსხმული ოქროს ფურცლები, დასამუშავებელი მადნის ნაწილი, ოქროსგან გამოძერწილი ხარის ქანდაკება, თიხის ჭურჭელი, ქვის 12-მდე როდინი, ყალიბში ჩამოსხმული სპილენძი — წონით 3 ფუთამდე და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ე. გაბლიანის წერილი ჩვენთვის მეტად საინტერესოა, მით უფრო, რომ წერილში მოცემულია შემთხვევით მონაპოვართა აღმოჩენის ადგილი, დრო და, საერთოდ, კონკრეტული ვითარება.

1935 წელს გამოქვეყნდა ცნობილი კავკასიოლოგის ა. ი ე ს ე ნ ი ს ნაშრომი — «К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе (изв. ГАИМК, вып. 120, М.-Л., 1935, с. 7—237). ავტორი კავკასიის სხვა რაიონებთან ერთად განიხილავს სვანეთს. გვაძლევს საინტერესო ცნობებს ამ კუთხის არქეოლოგიური მონაპოვრების შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სპილენძის ძველ მეტალურგიასთან დაკავშირებულ მასალებზე, რომლებიც ჭუბურისა და პარის (იფარის.—შ. ჩ.) თემებში ყოფილა გამოვლენილი (გვ. 43). ანალოგიური ცნობები მოცემულია აგრეთვე ა. ი ე ს ე ნ ი ს ა და ტ. პ ა ს ე კ ი ს წერილში — «Золото Кавказа» (изв. ГАИМК, вып. 110, М.-Л., 1935) და სხვ. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის გამოქვეყნდა ტოპოგრაფიული ხასიათის ცნობები სვანეთში ოქროს მონეტების აღმოჩენის შესახებ. ამ რიგის შრომებიდან აღსანიშნავია: А. Н. З о г р а ф, Античные золотые монеты Кавказа (изв. ГАИМК, 110, 1935); Е. А. П а х о м о в, Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, (вып. II. Баку, 1926).

როგორც ცნობილია, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებისათვის განსაკუთრებული ხელსაყრელი პირობები საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა. ამ მიზნით უმოკლეს დროში ჩამოყალიბდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, მუზეუმებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდი ქსელი, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის, მისი გამოვლინებისა და მოვლა-პატრონობის საქმეს ემსახურება. ერთ-ერთი ასეთი დაწესებულებაა სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც 1936 წელს დაარსდა¹. დროთა განმავლობაში მესტიის მუზეუმში, სხვა ძეგლებთან ერთად, დიდძალმა არქეოლოგიურმა და ნუმისმატიკურმა მასალებმა მოიყარა თავი. უფრო ადრე, სვანეთის არქეოლოგიური მონაპოვრების მნიშვნელოვანი რაოდენობა საქართველოს სახელმწიფო და სხვა მუზეუმებშიც მოხვდა.

მუზეუმებში დაცული არქეოლოგიური მასალების მცირე ნაწილი სხვადასხვა დროს გაიცნეს და ნაწილობრივ გამოაქვეყნეს კიდევ ქართველმა არქეოლოგებმა. ამ ავტორთა ნაშრომებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გ. გო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი ს მონოგრაფია — „არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში“ (თბ.,

¹ 1973 წლამდე იწოდებოდა მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმად.

1954 წ.); მისივე „შუაბრინჯაოს ხანა“, „გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოში“ წიგნში — საქართველოს არქეოლოგია (თბ., 1959, § 6, 7); აგრეთვე, „გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში“ — (სინ. 1970) და სხვა ნაშრომები, რომლებშიც ზემო სვანეთის ბრინჯაოს ხანის არაერთი ნივთია გამოქვეყნებული. სვანეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ცულების ცალკეული ნიმუშები დამოწმებულია პროფ. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ი ს შრომებში — „კოლხური ცული“ (სსმმ XVI-B თბ., 1950); „ქართველ ტომთა ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე“ თბ., 1961, და სხვ.

ბრინჯაოს ეპოქის სხვადასხვა საფეხურის კუთვნილი იარაღები სვანეთიდან დამოწმებული აქვს აგრეთვე დ. ქო რ ი ძ ე ს წიგნში „კოლხური კულტურის ისტორიისათვის“ (თბ., 1964) მოცემულია მათი მორფოლოგიური დახასიათება, ქრონოლოგია და სხვ. ავტორი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს იმ მსგავსების შესახებ, რომელიც ამ ნივთებს აახლოებს საქართველოს სხვა მონაპოვრებთან.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ აღნიშნულ ნაშრომში გვხვდება ზოგიერთი უზუსტობანი საკვლევი იარაღების ტიპოლოგიური თუ ქრონოლოგიური მაჩვენებლების, აღმოჩენათა პირობებისა და სხვა საკითხებში, რაც გამოწვეული ჩანს იმით, რომ ავტორს უსარგებლია სხვა პირების მიერ შესრულებული ჩანახატებით და პირადად ამ მასალების გაცნობის საშუალება არა ჰქონია.

სვანეთის ძეგლებისადმი ინტერესი ბევრად გაიზარდა მას შემდეგ, რაც მათ მეცნიერულად შესწავლის საქმეს სათავეში ჩაუდგა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის დიდი ღვაწლი, რომელიც ამ საქმეში მიუძღვის ინსტიტუტის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის განყოფილების ყოფილ გამგეს, ცნობილ ქართველ არქეოლოგს, აწ. განსვენებულ გ ე რ მ ა ნ ე თ ე ვ დ ო რ ე ს ძ ე გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ს. მისი ხელმძღვანელობით მომუშავე რაჭის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1961 წელს მოაწყო შემთხვევითი აღმოჩენების ადგილების დაზვერვა ცაგერისა და მესტიის რაიონებში. ამით დაიწყო აგრეთვე მესტიის მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციების შესწავლა.

გ. გობეჯიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ბრინჯაოს იარაღის სიმრავლეს და გამოთქვა მოსაზრება, რომ ზემო სვანეთი, მსგავსად რაჭა-ლეჩხუმისა, დასავლურ-ქართულ ბრინჯაოს

კულტურის წრეში შედის (იხ. გ. გობეჯიშვილი, შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ექსპედიციის 1961 წ. მუშაობის შედეგები — „საქართველოში 1961 წ. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები“ (სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსი). თბ., 1962, გვ. 21 — 24.

1964 წელს ინსტიტუტმა მოაწყო პირველი საგანგებო არქეოლოგიური ექსპედიცია სვანეთში, რომელიც მიზნად ისახავდა მესტიის მუზეუმის კოლექციებზე მუშაობას, შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენის ადგილების შემოწმებას და ზოგიერთი მათგანის სარეკონსტრუქციო გათხრას (გ. გობეჯიშვილი, შ. ჩართლანი, სვანეთის არქეოლოგიური დაზვერვა 1964 წელს — XIV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1964 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოკლე ანგარიშები, თბ., 1965, გვ. 31 — 38).

ექსპედიციის მიერ თვე-ნახევრის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შედეგად აღმოჩენილი და სადაზვერვო გათხრებით შემოწმებულ იქნა გვიანი ბრინჯაოს ხანის მეტალურგიული ბორცვის სოფ. კალაში, რკინის მეტალურგიული საწარმოს ნაშთები და ადრეანტიკური ხანის კრემაციული სამაროვანი ჭუბერის ხეობაში, შუა საუკუნეების კერამიკული წყალსადენი მესტიაში (მარცხნ-ლახთაგის წყალსადენი) და ა. შ.

ჭუბერში განხორციელებული სადაზვერვო გათხრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგად უნდა ჩაითვალოს შხიბარის რკინის სადნობის შესახებ ბ. დეგენ-კოვალევსკის მიერ მოცემული თარიღის (ახ. წ. X—XI სს.) დაზუსტება. ახალი კორექტივით, მისი მოქმედების ქვედა თარიღად ძვ. წ. VI — IV სს-ზე უფრო გვიანდელ პერიოდს ვერ მივიჩნევთ.

არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მნიშვნელოვანი რაოდენობით აღრიცხა და შეისწავლა მესტიის მუზეუმში დაცული და კერძო პირებთან გაბნეული შემთხვევითი არქეოლოგიური და ნუმისმატიკური მონაპოვრები. ისინი ბრინჯაოს, ანტიკური და ფეოდალური ეპოქების სხვადასხვა საფეხურებს განეკუთვნებიან და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ამ კუთხის ძველი მოსახლეობის სამეურნეო-კულტურისა და გარესამყაროსთან ურთიერთობის შესახებ.

იმავე წელს სვანეთში აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით მომუშავე ექსპედიციის წევრმა — არქეოლოგმა გ. გრიგოლიამ გამოავლინა ორი არქეოლოგიური ძეგლი: ძვე-

ლი ნასახლარი სოფ. ეცერის ერთ-ერთ გორაზე და ქვის ხანის იარაღები ლებიქვში — სოფ. ლენჯერთან ახლოს. †

1965 წელს სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ძირითადი მუშაობა ჭუბერში — ლარილარის სამაროვანზე გააგრძელა და საყურადღებო მასალები მოიპოვა როგორც ძეგლის კონსტრუქციის, ისე მისი მოქმედების ხანგრძლივობისა და სხვა თავისებურებათა შესახებ. განსაკუთრებით მრავლად გამოვლინდა კერამიკული, ბრინჯაოს, რკინის, მინის, ქვისა და სხვა მასალებისაგან დამზადებული ჭურჭელი, იარაღ-საჭურველი, სამკაული და სხვა სახის ნივთები, რომელთა ტექნიკური და მხატვრული ნიშნები წარმოდგენას გვაძლევენ, ერთი მხრივ — ხელოსნობის სხვადასხვა დარგების განვითარებაზე ადრეანტიკური ხანის სვანეთში, ხოლო, მეორე მხრივ — ამ კუთხის საწარმოო და სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობაზე კოლხეთის ბართან, ჩრდილო კავკასიონთან და ანტიკური სამყაროს კულტურულ ცენტრებთან (შ. ჩართოლანი, სვანეთის 1965 წლის ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, XV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1965 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1966, გვ. 37—38).

ლარილარის სამაროვანზე აღმოჩენილი მასალებისა და, საერთოდ, სვანეთის ანტიკური ხანის არქეოლოგიური მონაპოვრების უფრო ფართოდ განხილვის ცდა მოცემულია სამეცნიერო სესიებზე წარმოდგენილ მოხსენებებში და გამოქვეყნებულ ცალკეულ წერილებში (იხ. ალ. ჯავახიშვილი, ზაიშის განძი, უფრნ. „მნათობი“, 1958, № 4; შ. ჩართოლანი, ანტიკური ხანის სამაროვანი სოფ. ლარილარში (ზემო სვანეთი) — ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1966, გვ. 35—37; მისივე, სავაჭრო ურთიერთობის ამსახველი არქეოლოგიური მონაპოვარი ზემო სვანეთში — ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1968, გვ. 29—30; მისივე, ლარილარის სამაროვანი, — „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“ (კრებული), თბ., 1968, გვ. 300—318; გ. დუნდუა, საქართველოში ვავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები, უფრნ. „ნაცნე“, 1973, № 1, გვ. 51—65).

სათანადო სპეციალისტების მიერ გაკეთებულია ლარილარის სამაროვანზე აღმოჩენილი რკინის იარაღების მეტალოგრაფიული გამოკვლევა და შალის ქსოვილის ტექნოლოგიური ანალიზი (იხ.

გ. ინანიშვილი, რკინის დამუშავება ძვ. წ. VII—IV სს-ის დავსვლეთ საქართველოს მთაში, 1976, გვ. 5—7, ხელნაწერი, ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გვიანი ბრინჯაო-აღრერკინის ხანის განყოფილებაში; ქ. ისაკაძე, საფეიქრო საქმე საქართველოში უძველესი დროიდან მეცხრამეტე საუკუნემდე, თბ., 1970, გვ. 100—101).

1965 წლის შემდეგ სპეციალურ არქეოლოგიურ ექსპედიციებს სვანეთში არ უმუშავიათ, მაგრამ ინსტიტუტის ძალებით არაერთი ახალი ძეგლი იქნა გამომზეურებული როგორც სვანეთში, ისე მის მომიჯნავე ტერიტორიებზე. მათ შორის საგანგებოდ შეიძლება აღინიშნოს 1969 წლის აღმოჩენები: კერამიკული წყალსადენებისა — მესტიის რაიონში (შ. ჩართოლანი, ძველი კერამიკული წყალსადენი მესტიაში — ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1969, გვ. 40—42; მისივე, წყალმომარაგების უძველესი ძეგლები სვანეთში, ჟურნ. „მაცნე“, 1972, № 1, გვ. 74—94), ჯაგრეთვე, ძველი სამთამადნო გამონამუშევრები აფხაზეთ-სვანეთში და ამ რიგის შემთხვევითი მონაპოვრები ზემოსვანეთში; Ш. Чартолани, Памятники древнегрузинского горнорудного производства в Горной Абхазии — Тезисы докладов, посвященных итогам полевых археологических исследований 1970 года в СССР, Тб., 1971, с. 96—97).

ამავე პერიოდში ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ აღრიცხული და ნაწილობრივ შეგროვებულია მოსახლეობაში გაბნეული შემთხვევითი არქეოლოგიური მონაპოვრები. ჩაწერილია საინტერესო ცნობები ამ აღმოჩენათა პირობების შესახებ, ხშირ შემთხვევაში აღმოჩენის ადგილის ჩვენებითაც კი². აღნიშნული მასალების მნიშვნელობა ადვილი გასაგებია თუ გავითვალისწინებთ იმ სიძნელეებს, რასაც ქმნის სვანეთის შემთხვევითი არქეოლოგიური მონაპოვრების არა მარტო გაფანტულობა, არამედ მათი თუნდაც ისეთი უსისტემოდ ერთად თავმოყრა, როგორც ეს მესტიის მუზეუმს მოუხდენია რამდენიმე ათეული წლის წინათ. აქ უპასპორტო და ყოველგვარი

² განსაკუთრებით დიდი მადლობით გვინდა მოვიხსენიოთ სოფ. კალის მცხოვრები გრიგოლ და ვალო ხარძიანები; ამავე სოფლის რვაწლიანი სკოლის პედაგოგები მუშნი და ანტისო ხარძიანები; სოფ. ივარის მკოდრნი: ბაგრატი, ალიოშა და სემლარ გულბანები. მიხაკო და სონია ხვისტანები, გიორგი პირველი; სოფ. ქუბერის მცხოვრებნი: სოსლან ჩხვიანი, კაბუ ჯაქვლიანი, ცეკა და გერმანე ცანდელიანები; ლენტეხის რაიონის სოფ. ნანარში მცხოვრები ჯუმბერ ქურასპელიანი და სხვ.

მეცნიერული დოკუმენტაციის გარეშე დაცული ნივთების მხოლოდ ერთი ნაწილის სადაურობის დადგენა მოხერხდა და ისიც მას შემდეგ, როცა დაზუსტდა მათი აღმომჩენი პირების ვინაობა.

შემთხვევითი არქეოლოგიური მონაპოვრების გამოვლინების მიზნით ჩატარებულმა ხანგრძლივმა მუშაობამ სასურველი შედეგი გამოიღო; თითქმის სრულად აღირიცხა სხვადასხვა მუზეუმებში თუ სკოლებში დაცული და მოსახლეობაში გაბნეული მრავალფეროვანი მასალები (ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის იარაღები, სპილენძის ზოდები, ანტიკური და შუასაუკუნეების უცხოური და ადგილობრივი მონეტები; სხვადასხვა დროისა და წარმომავლობის მძივ-სამკაული; რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, წყალსადენის მილები და სხვ.). დაზუსტდა ბევრი მათგანის აღმოჩენის ადგილი და პირობები.

შემთხვევითი აღმოჩენის ადგილების ზედაპირული დაზვერვებისა და მცირე გათხრების მეშვეობით, გაირკვა რიგი ძეგლების საერთო ხასიათი და ქრონოლოგია. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ:

1. ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები (ამჟამად დანგრეული) — ლასილის ხეობაში, ადგილი „წიფნი“, „ლაროლარ“ (იფარის სასოფლო საბჭო).

2. გვიანი ბრინჯაოს ხანის მეტალურგიული საწარმოს ნაშთები სკვრემის გორაზე და სოფ. იფარში (კალას სას. საბჭო).

3. გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურული ფენების შემცველი პუნქტები მდ. ნაკის ხეობაში (ნაკრის სას. საბჭო).

4. რკინის მეტალურგიული საწარმოს ნაშთები ჭუბერის ხეობაში, დიზში და ქვედა იფარში (ჭუბერის, ლახამულისა და ხაიშის სასოფლო საბჭოები).

5. ადრე და შუაფეოდალური ხანის საფორთიფიკაციო ნაგებობათა ნაშთები ჭუბერში, ხაიშში, იდლიანში, კავაკვასა და ხუბერში.

6. შუასაუკუნეების დახურული კერამიკული წყალსადენები სოფ. მესტიაში, კალაში, მულახში, ლენჯერსა და შდინირში.

დასახელებული პუნქტებიდან, როგორც ვხედავთ, ჩვენი სამუშაო თემისათვის უფრო საინტერესო გამოდგა ორი — ლასილის ხეობა (იფარის თემში) და სკვრემის გორა („კალაში“).

ლასილის ხეობაში „გრუზნოლოტო“ მრავალი წლის მანძილზე აწარმოებდა მიწის სამუშაოებს ოქროს მოპოვების მიზნით. სწორედ ამ პროცესში იქნა აღმოჩენილი ხეობის ფსკერზე, სხვადასხვა ადგილებში „წიფნი“, „ლაროლარი“, ადრე და შუაბრინჯაოს ხანის იარა-

ლები (ტაბ. III-2, 3, 4; V—VI; VII-2, X-1; XI-1). ოქროს მაძიებელი მუშების გადმოცემით, აღნიშნული იარაღების გარდა, მათ აქვე უპოვნიათ ბრინჯაოს „წალკატი“, ბრტყელთაგვიანი ქინძისთავი, სპილენძის ზოდის ნატეხები და სხვა ნივთები, რაც დროთა განმავლობაში დაკარგულა, ზოგი მათგანი კი ჩამოსულ მუშებს წაუღიათ თან. ბრინჯაოს ნივთებისა და ოქროს მარცვლების შემცველ ფენაში გამოვლენილა მცირე მოედანი, სადაც შემორჩენილი ყოფილა ორმწკრივად განლაგებული, ერთმანეთისაგან თითქმის თანაბარი მანძილით დაცილებული ხის ბოძების ძირები. ბოძები ჩასობილი ყოფილა აღნიშნულ დონეზე უფრო დაბლა — თიხნარ ფენაში. როგორც ჩანს, ოქროს მაძიებლებმა აქ ძველი საწარმოო ობიექტის ნაშთები დაანგრიეს. საყურადღებოა, რომ ზეპირსიტყვიერი გადმოცემების მიხედვითაც, ამ ხეობის სათავეებში უძველესი სამჭედლოსახელოსნოების არსებობა იგულისხმება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო. ლასილის ხეობაში სადაზვერვო-არქეოლოგიური გათხრების ჩატარება პერსპექტიულად გვესახება.

სკარეშის გორას უწოდებენ კალას სასოფლო საბჭოში, სოფ. ვიჩნაშის ჩრდილო-აღმოსავლეთით ამართული მერიდიანული თხემისაგან მოყელილ, განკიდულ გორას, რომლის სიგრძე 150 მეტრს აღწევს, ხოლო სიგანე 35—50 მეტრის ფარგლებში მერყეობს.

სკარეში აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ტვიბისა და ენგურის ღრმა ხეობებითაა გამოკვეთილი. გორის აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ნაწილობრივ დასავლეთის ფერდობები წარმოადგენს ძნელად მისადგომ ფიქალ კლდეებს, რომელშიაც ათამდე მცირე ზომის გამოქვაბულია მოთავსებული. სკარეშის გორას შესანიშნავი სტრატეგიული მდებარეობა უჭირავს: იგი თავზე დაჰყურებს ზემო სვანეთის მთავარი კომუნიკაციის იმ მონაკვეთს, რომელიც სოფ. კალას გავლით ზემო სვანეთს აკავშირებდა ქვემო სვანეთთან (მდ. ცხენისწყლის ხეობა) და შემდეგ, რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთთან. ასევე, შიდა ქართლთან და ჩრდილო კავკასიაში — დიგორის მხარესთან. აქაურ მცხოვრებლებს თავისუფლად შეეძლოთ სამიმოსვლო გზის თვალთვალი და მასზე კონტროლის გაწევა. ამ გარემოებამ, როგორც ჩანს, გარკვეული როლი ითამაშა საკვლევ ტერიტორიაზე მუდმივი სამოსახლოს დაარსების საქმეში. ამასვე ადასტურებს გორაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები და მოსახლეობაში შემონახული მდიდარი ზეპირსიტყვიერი გადმოცემები.

სკარეშის გორის თავზე დგას ღვთისმშობლის სახელობის ხის ეკლესია. მის ჩრდილოეთ კედელთან, დიდი ასაკის მუხის ხის ქვეშ

დიდი ზომის ქვისაგან ნაშენი ციკლოპური წყობა შეიმჩნევა. ეკლესიის სამხრეთით შემონახულია ქვითკირით ნაშენი ოთხკუთხა კოშკის ძირი. მისგან 6—7 მეტრის დაცილებით, მოჩანს ძველი სვანურა, შუასაუკუნეების ტიპური საცხოვრებელი კომპლექსი, რომელიც კოშკის გარდა, მოიცავდა საცხოვრებელ სახლს („მაჩვიბვ“) და „გუბანდ“ — სვანირს.

არქეოლოგთა ინტერესი სკარეშის გორის მიმართ შემთხვევით აღმოჩენებთანაა დაკავშირებული. 1957 წელს, სკარეშის გორაზე ნიაღვრის მიერ ჩაჭრილ ხრამში, სოფ. ვიჩნაშში მცხოვრებმა გრიგოლ და მუშნი ხარძიანებმა იპოვეს ბრინჯაოს ზოდები (ტაბ. XXXVII-1,6), ორი თიხის ჭურჭელი (ტაბ. XXXIV-1,2) და სანაყი როდინი (ტაბ. XXXIX-5), ამ აღმოჩენის შესახებ მათ მაშინვე უცნობეობიან მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის და მონაპოვარიც გადაუციათ.

1964 წელს სკარეშის გორა ზედაპირულად დაზვერა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციამ და გამოითქვა მოსაზრება, რომ აქ ბრინჯაოს ხანაში მეტალურგიული საწარმოო ობიექტი უნდა არსებებულყო³. მომდევნო წლებში ამ ტერიტორიაზე ჩვენ მიერ ჩატარებული მცირე მასშტაბის დაზვერვების შედეგად გამოვლენილ იქნა დამატებითი მასალები: ხელსაფქვავეები (ტაბ. XL-1), სპილენძის ზოდის ნატეხი, სასრეს-სანაყი ქვები (ტაბ. XL-2) და სხვ.

შემოაღნიშნულმა გარემოებამ საფუძველი მოგვცა, 1975 წელს სკარეშის გორაზე ჩავეტარებინა გათხრითი სადაზვერვო სამუშაო. ამ გორის სამხრეთ კიდეში, ფერდის თავში გავლებულმა თხრილმა გამოავლინა საკმაოდ რთული კონფიგურაციის ნაგებობის კედლების ნაშთები და დანგრეული კულტურული ფენები. კარგად გამოიკვეთა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმართული კედლების ორი რიგი. წყობა მშრალადაა ამოყვანილი, გამოყენებულია სიპი და ფიქალი ქვა⁴.

კედლის პირველი რიგი, რომელიც უკიდურეს სამხრეთ კიდე-

³ გ. გობეჯიშვილი, შ. ჩართოლანი, სვანეთის არქეოლოგიური დაზვერვა 1964 წელს. იხ. კრებულში „XIV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი“, თბ., 1965, გვ. 31—38.

⁴ შ. ჩართოლანი, ა. ქალდანი, სვანეთის 1975 წლის სადაზვერვო-არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, იხ. კრებულში — საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1975 წელს. თბ., 1976, გვ. 67.

18527

ზეა ამოყვანილი, სიგრძით 7 მეტრს შეადგენს, სიგანე იცვლება 35—40 სმ-ის ფარგლებში. მაქსიმალური სიმაღლე 25 სმ-ია. კედლის წყობა გაწყვეტილია 40 სმ-ის სიგრძით, რაც შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ აქ გასასვლელი კარი იყო დატოვებული.

აღნიშნული შიგა პროფილიდან დაახლოებით 1,5 მ-ის დაშორებით, კლდოვან ყამირზე ამოყვანილია მეორე რიგის კედელი, რომელიც ჩრდილოეთ მხარეზე კლდეს ებჯინება. კედლის სიგრძე 11,0 მ-ს აღწევს, სიგანე 25—35 სმ-ს, ხოლო მაქსიმალური სიმაღლე — 80 სმ-ს შეადგენს.

ორივე კედელი დასავლეთით დანგრეულია, აღმოსავლეთით კი გაწყვეტილია სამარხილე გზით და მასზე ჩამომდინარე ნიაღვრებისაგან გაჩენილი დიდი ხრამით (ამ ადგილზეა ნაპოვნი ზემოაღნიშნული არქეოლოგიური მასალები). ხრამის აღმოსავლეთ მხარეს მოქცეული ნაგებობის ნაწილი უფრო მცირეა (4,0×3,0 მ) და კედლები დანგრეული. მაგრამ მათი ძირითადი მიმართულების გარკვევა მაინც შესაძლებელია.

ნივთიერი მასალა, რომელიც 1975 წელს იქნა სკარეშის გორაზე გამოვლენილი, მოიცავს ქვის სანაყებსა და ხელსაფქვაკვებს (ტაბ. XXXIX-4), კაქის ნამგლის პირს — ჩასართს (ტაბ. XXXII-1), ბრინჯაოს ყუნწიან სატევრის პირს (XXVII-3), ანტიკური ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხებს, შუა საუკუნეების რკინის იარაღს და სხვ.

შემთხვევითი აღმოჩენებისა თუ საგანგებო არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად სკარეშის გორაზე გამოვლენილი მასალები უცილობელს ხდის, რომ აქ შემონახულია სამი ეპოქის — გვიანი ბრინჯაოს, ანტიკური ხანისა და განვითარებული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. მაგრამ ადრინდელი ფენები დანგრეული ან დაზიანებულია მომდევნო პერიოდების, განსაკუთრებით კი შუა საუკუნეების ნაგებობათა მშენებლების მიერ. ადრეული კულტურული ფენების გამოსავლენად და შესასწავლად საკმაოდ დიდი და შრომატევადი მიწის სამუშაოებია აქ შესასრულებელი. ამასთან, პირველ რიგში არქეოლოგიურად უნდა გაითხაროს ზემოდან პირველი — შუა საუკუნეების კულტურული ფენა.

სვანეთის შემთხვევითი არქეოლოგიური მონაპოვრების შესწავლის უკანასკნელ საგანგებო ღონისძიებად შეიძლება მივიჩნიოთ ადგილობრივ ეკლესიებში დაცული მასალების მეცნიერული აღრიცხვა-დამუშავება, რაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მითითებით, ამ ბოლო დროს განახორციელა ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის კომპლექსურმა ექსპედიციამ,

2. შ. ჩართოლანი



რომლის არქეოლოგიურ ნაწილში მუშაობა დაევალა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს. სვანეთის ეკლესიებში არქეოლოგიური ნივთების არსებობა ზოგადად ადრეც იყო ცნობილი, თითო-ორიოლა ნივთი გამოაქვეყნეს კიდევაც ზემოთ მოხსენიებულმა მკვლევრებმა, მაგრამ კომპლექსური ექსპედიციის მიერ ეკლესიებში გამოვლენილი მასალების რაოდენობრივმა, სახეობრივმა თუ ქრონოლოგიურმა მაჩვენებლებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჰარბა. მთელ რიგ ეკლესიებში ხელუხლებლად შენახული აღმოჩნდა საუკუნეების მანძილზე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ნაპოვნი და ხატიხათვის შემოწირული ასობით არქეოლოგიური ნივთი, რომელთა საერთო ქრონოლოგიური ჩარჩოები მოიცავს საზოგადოების განვითარების თითქმის ყველა ძირითად საფეხურს შუაბრინჯაოს ხანიდან დაწყებული ვიდრე გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით⁵.

კომპლექსური ექსპედიციის მონაპოვრებიდან ჩვენთვის ამჯერად განსაკუთრებით საინტერესოა ბრინჯაოს ხანის კუთვნილი მასალები. კერძოდ, სოფ. კალაში აღმოჩენილი კაყის ქუსლამოღარული ისრისპირები (ტაბ. IX-1,2); სოფ. მულახში ნაპოვნი ბრინჯაოს ყუამილიანი ცული (ტაბ. XII-3); უშგულის ეკლესიაში დაცული ბრინჯაოს ქანდაკება ვერძის თავის გამოსახულებით (ტაბ. XVII-2). მათ ზოგად ქრონოლოგიად შუაბრინჯაოს ხანას მივიჩნევთ⁶.

მომდევნო, გვიანი ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება უშგულის მთავარანგელოზის ეკლესიაში დაცული კოლხური ცულები (ტაბ. XIX-3, XX-4; XXI-5), აგრეთვე, ერთი ბრტყელი ცული (ტაბ. XXX-3) და დისკოსებური გულსაკიდი მზის სტილიზებული გამოსახულებით (ტაბ. XXXIII-1)⁷.

შემთხვევით აღმოჩენათა ჯერ კიდევ არასრულად დადგენილი ტოპოგრაფია მიგვანიშნებს, რომ ბრინჯაოს ხანის ძეგლები მნიშვნელოვანი რაოდენობით უნდა იყოს შემონახული ამ რეგიონის მიწისწიაღში. სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მასალები კი აღმოჩენილია შემდეგ პუნქტებში: მდინარე ენგურის ხეობაში, ისტორიული ზემო სვანეთის ტერიტორიაზე — სოფლებში: ხ უ დ ო ნ შ ი,

⁵ იხ. შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის (სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის 1972—74 წწ. არქეოლოგიური მუშაობის შედეგები). თბ., 1976.

⁶ ი ქ ვ ე, გვ. 10—13.

⁷ ი ქ ვ ე, გვ. 14—19.

ჭუბერში, ლახამულაში, ნაკრაში, ლატალში, ლენჯერში, მესტიაში, მულახში, იფარში, კალაში, უშგულში და სხვ. მდ. ცხენისწყლის ზემო დინების აუზში ანუ ქვემო სვანეთში — სოფ. ნანარში, სასაშში, ლენტეხში, ყახუნდერში და სხვ. (იხ. რუკა).

როგორც ეს ზემოაღნიშნულიდან ჩანს, სადღეისოდ ენგურის ხეობის სვანეთიდან მეტი მასალაა ცნობილი, ვიდრე ცხენისწყლის ხეობის ზემო წელიდან. მაგრამ ეს მდგომარეობა მოჩვენებითი უნდა იყოს. საქმე იმაშია, რომ ქვემო სვანეთის ანუ ლენტეხის რაიონს, მესტიისაგან განსხვავებით, დღემდე არ გააჩნდა სამეუფეუმო დაწესებულება, სადაც თავს მოიყრიდა ადგილობრივი მონაპოვარი. ამიტომაც, ქვემო სვანეთიდან ამ რიგის ძეგლები გაპქონდათ სხვაგან, უმეტესწილად კი ცაგერის, ქუთაისისა და სხვა მუზეუმებში, სადაც ნივთების მიღება-ჩაბარების დროს, ხშირ შემთხვევაში სათანადო დოკუმენტები არ ფორმდებოდა და ნივთი უპასპორტოდ რჩებოდა მუზეუმში. ან კიდევ, როგორც ამას ა. იესენიც მიუთითებს. ზუგდიდის მუზეუმის მაგალითზე, სეზონურ სამუშაოზე ბარის რაიონებში ჩამოსულ სვანებს თან მიჰქონდათ გასაყიდად „ძველი ნივთები“⁸, რომელსაც კერძო კოლექციონერებზე ყიდდნენ „შავ ბაზარზე“ და შემდეგ მათი ნაწილი მუზეუმს ბარდებოდა. ეს „შუამავალნი“ კი ყოველთვის როდი აძლევდნენ სწორ ცნობებს მუზეუმებს ამა თუ იმ ნივთის აღმოჩენის პირობების შესახებ. ამდენად, ლენტეხის რაიონშიაც არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენათა უფრო მეტი შემთხვევებია საგულისხმებელი, ვიდრე დღეს ჩვენ ვიცით.

წინამდებარე კატალოგში წარმოდგენილია სვანეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მკვლევართა, მოგზაურთა თუ უბრალო ცნობისმოყვარეთა მიერ მოპოვებულ-შეგროვებული, ანდა ამჟამად ადგილობრივ მოსახლეობაში გაბნეული თუ სკოლებში, ეკლესიებსა და მუზეუმებში დაცული დღემდე დაუმუშავებელი ყველა არქეოლოგიური მასალა, რაც კი მხარის ბრინჯაოს ხანის ისტორიასა და კულტურას ასახავს.

მასალის ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია ემყარება საქართველოს, კავკასიისა და უფრო შორეული ქვეყნების სტრატეგიცირებულ და უკვე დათარიღებულ ძეგლებს; ამ საფუძველზე გახდა შესაძლებელი ცალკეული ნივთების თუ ნივთთა

⁸ И е с с е н А. А. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, изв. ГАИМК, вып. 120, 1935, с. 129.

ჯგუფისათვის, ფორმისა თუ ასაკის შესაბამისად, სათანადო ადგილის მიჩენა საქართველო-კავკასიის არქეოლოგიურ კულტურებს შორის.

ეს წიგნი წარმოადგენს პირველ ნაწილს ვრცელი მონოგრაფიისა — „სვანეთი ბრინჯაოს ხანაში“ — რომელიც მომზადებულია გამოსაცემად. აღნიშნულ ნაშრომში მოცემულია არქეოლოგიური ძეგლების უფრო ზუსტი ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური და ისტორიული ანალიზი, ბრინჯაოს ხანის სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების დახასიათება.

ВВЕДЕНИЕ

(К истории обнаружения и изучения памятников)

Горная полоса Грузии, в частности Сванети до настоящего времени остается крайне недостаточно изученной в историческом отношении. Создавшееся положение объясняется двумя основными факторами: с одной стороны, наука располагает весьма незначительным количеством необходимых письменных первоисточников, что, естественно, осложняет описание исторических судеб этого региона, а с другой стороны, историческому прошлому Сванети все еще посвящается недостаточное число специальных исследований. Особенно резко различие в уровне изученности истории равнинных и горных областей Грузии проявляется в отношении дохристианской эпохи. На этом фоне становится очевидной особая важность комплексного анализа сохранившихся до наших дней в Сванети памятников материальной и духовной культуры.

Культурное население гор уже давно привлекает внимание исследователей и изучается с разных точек зрения. Конкретный материал из Сванети послужил основой для ряда общетеоретических обобщений в лингвистике, этнографии, фольклоре, архитектуре, истории религии и других отраслях знания. К сожалению, этого нельзя сказать об археологических памятниках Сванети, которые до настоящего времени известны в виде преимущественно случайных находок. Исключением являются раскопки небольшого масштаба, проведенные в 30-х годах ленинградским археологом Борисом Евгеньевичем Деген-Ковалевским в ущелье Чубери, на месте древней металлургической мастерской. Ему же принадлежит одна публикация, речь о которой пойдет ниже.

После Б. Деген-Ковалевского, почти до 60-х годов, археологические работы в Сванети по сути дела не велись, несмотря на то, что были хорошо известны отдельные находки. Однако, часть полученных таким надежным путем материалов уже утрачена для науки, другая еще сохранилась благодаря тому, что местное население жертвовало древние

предметы церквям, сдавало их в музей, приносило в школы или хранило как реликвии в семьях.

Необходимо подчеркнуть, что определенный интерес к археологическому наследию Сванети проявляли исследователи древней истории Грузии и Кавказа второй половины XIX века. К археологическим памятникам в этих случаях относятся, главным образом, наземные памятники материальной культуры. Изредка, правда, публиковались случайно обнаруженные в земле предметы. Сведения такого порядка дают Д. З. Бакрадзе, Е. С. Такаишвили, П. С. Уварова, И. А. Бартоломеи, Г. Д. Филимонов и др. Отдельные известия об обнаружении археологических предметов можно встретить в грузинской и русской периодике («Квали», «Дрозба», «Иверия», «Кавказ», «Терек» и т. д.).

В 1858 году совершил путешествие по Сванетии русский коллекционер-нумизмат И. А. Бартоломеи. В его дневнике («Поездка в Вольную Сванетию», ЗКОИРГО, Тиф., 1855 г., кн. III) содержатся данные о хранящихся в Сванетских церквях археологических материалах, в том числе, сведения о наконечниках стрел, медных наконечниках копья, топорах, навершиях и пр. (с. 165, 166, 181, 196). Ценность сведений И. А. Бартоломеи тем более велика, что часть виденных им предметов в настоящее время уже утеряна.

Известный грузинский историк Д. Бакрадзе в работе «Сванетия» (ЗКОИРГО, Тиф., VI, 1864 г.) в общих чертах описывает процесс исторического развития Сванети с древнейших времен до XIX в.

В 1860 г. Д. З. Бакрадзе путешествовал по Сванети и, как сам отмечает в работе, интересовался археологическими, этнографическими, эпиграфическими и т. п. материалами. Однако, основным объектом его исследований были древние грузинские надписи.

Вместе с тем, автор дает интересные сведения и по некоторым археологическим находкам, хотя довольствуется лишь перечислением или, в редких случаях, указанием количества тех или иных предметов (см. указ. Соч., с. 35, 36, 37, 41, 58).

В 1876 г. в Москве вышла в свет работа Г. Д. Филимонова «Сванетия в археологическом отношении». Однако, с современной точки зрения, название не вполне соответствует содержанию. Как и предшествующие авторы, Г. Д. Филимонов рассматривает в основном культовые сооружения и церковный инвентарь — образцы творчества златокузнецов и резчиков по дереву, рукописи и т. д. Только попутно Г. Д. Филимонов упоминает хранящиеся в церкви бусы, наконеч-

28. ცული ბრინჯაოსი, ყუამილიანი (ტაბ. XIII-1). საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყ. ფონდი, ინვ. № 11, 32 : 34. ტანი მრუდე აქვს, მრგვალგანივკვეთიანი სატარე მილი წინა მხარეს მკვეთრადაა შეჭრილი. სატარეს წინა კიდეში ყუიდან დაშვებული რელიეფური წიბური წელის არეში წყდება. ტანი და პირი ქვემოთ თანდათანობით თხელდება. ძლიერ ალესილი ფხა გორდაა, რასაც ქმნის წინა და უკანა ნიღრების სხვადასხვა დონეზე განლაგება. აღმოჩენილია ჭუბერის ხეობაში. სვანეთიდან ჩამოტანილია ექვ. თაყაიშვილის მიერ.

ცულის საერთო სიმაღლე — 14,5 სმ, სატარე მილის სიგრძე — 3,8 სმ, სატარე მილის უდიდესი დიამეტრი — 2,4 სმ, პირის საშუალო სიფართოვე — 4,5 სმ.

29. ცული ბრინჯაოსი, ყუამილიანი (ტაბ. XIII-2). საქართველოს სახ. მუზეუმის არქ. განყ. ფონდი, ინვ. № 5—58: 1. მრგვალგანივკვეთიანი სატარე მილი წინა მხარეს მნიშვნელოვნადაა შეჭრილი. ტანი ოდნავ მრუდეა, ილლიის არეში ვიწრო, ქვემოთ პირისაკენ თანდათანობით ფართოვდება და თხელდება. ოდნავ გორდა სამუშაო პირი კარგადაა გამოსახული ნიღრების საშუალებით. განსაკუთრებით მკაფიოდაა გამოკვეთილი წინა ნიღრი, რომელიც მოტეხილი აქვს. ყუიდან ქვემოთ, ორივე მხარეს სამუშაო პირამდე — თითო რელიეფური გლუვი წიბური დაუყვება. შუბლის მხარე, კაჩასთან შედარებით, უფრო

სქელია. ზედაპირი დაფარულია მუქი მწვანე პატინით. აღმოჩენილია ჭუბერის ხეობაში. სვანეთიდან ჩამოიტანა ექვ. თაყაიშვილმა.

ცულის სიმაღლე — 1,5 სმ, სატარე მილის სიგრძე — 5,5 სმ, სამუშაო პირის სიფართოვე — 4,7 სმ, სატარე მილის დიამეტრი — 2,5 სმ.

30. ცული ბრინჯაოსი, ყუამილიანი (ტაბ. XIII-3). მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 210. მასიური, ოდნავ მრუდე ტანი ტარისაკენაა მოქანდული. მრგვალგანივკვეთიანი სატარე მილი გარედან მოყელილია, წინა მხრიდან 2—3 მმ-ით უფრო ფართო. ბრტყელი თანაბარი სისქის ტანი მხოლოდ პირის არეში ფართოვდება და შესაბამისად თხელდება კიდევც. სამუშაო პირი მკვეთრადაა გამოსახული. განსაკუთრებით კარგადაა გამოკვეთილი წინა ნიღრი. ცულის ზედაპირი დაფარულია მწვანე კეთილშობილი პატინით. აღმოჩენილი უნდა იყოს ჭულებში.

ცულის საერთო სიმაღლე — 22 სმ, სატარე მილის სიგრძე — 5 სმ, სატარე მილის უდიდესი დიამეტრი — 3,8 სმ, სამუშაო პირის სიფართოვე — 6,9 სმ.

31. ცული ბრინჯაოსი, ყუამილიანი (ტაბ. XIV). მრგვალი სატარე მილი მოკლეა და გარედან შესამჩნევად მოყელილი. მრუდე S-ებური ტანი იდლიის არეში ვიწროა და მრგვალგანივკვეთიანი. ქვევით მკვეთრად ფართოვდება უკანა ნიღრის ხარჯზე, რომელიც ძალიან მაღალია. ასე რომ, პირის ფორმა და გორდა მჭრელი ფხა დაახლოებით ნახევარმთვარეს მოგვაგონებს. წინა ნიღრი ამჯერად ოდნავ ჩაჭყლეთილია და თავის დროზე უფრო ძლიერ ყოფილა წვერაკაკული. დარტყმისაგან ჩაჭყლეთილია აგრეთვე ფხის გარერკალი. ზედაპირი დაფარულია მოშავო თხელი პატინით. ცული შემთხვევით არის ნაპოვნი დაბა მესტიაში.

ცულის სიმაღლე — 14,5 სმ, სატარე მილის სიგრძე — 3,5 სმ, სატარე მილის დიამეტრი — 2,2 სმ, სამუშაო პირის სიფართოვე — 4,5 სმ.

32. ცული ბრინჯაოსი, ყუამილიანი (ტაბ. XV-1). სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 395. გრძელ კოქსეზურ სატარეს ორივე კიდეში მაღალი რელიეფური წიბურები აქვს, მრგვალგანივკვეთიანი სატარე მილი ძალიან ვიწ-

როა. მაღალი, წელის არეში წვრილი ტანი ქვემოთ, პირისაკენ მარაოსებურად ფართოვდება. წინა ნიღრი, რომელსაც წვერი მოტეხილი აქვს, უფრო დაბალია და საგრძნობლად წინ წამოწეული. შუბლის ხაზი სატარე მილის მიმართ ირიბად დახრილია, ისე, რომ ილიასთან დაახლოებით 120° -იან ბლაგვ კუთხეს ჰქმნის. აღმოჩენილია იფარის თემში.

ცულის სიმაღლე — 18 სმ, სატარე მილის სიგრძე — 4,8 სმ, სატარე მილის დიამეტრი — 1,2 სმ, პირის სიფართოვე — 7,2 სმ.

33. ც უ ლ ი ბრინჯაოსი, ყუამილიანი (ტაბ. XV-2). სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდები, ინვ. № 396. ნაკლული — მთლიანად აქვს მოტეხილი ქვედა ტანი და პირი. აღნიშნული ცული ზუსტი ანალოგია № 395 ნიმუშისა. ოღონდ, ზომით რამდენადმე ჩამორჩება მას. აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია.

სატარე მილის სიგრძე — 3,8 სმ, სატარე მილის დიამეტრი — 1,1 სმ.

34. ბ რ ტ ყ ე ლ ი „ცული“ ბრინჯაოსი, (ტაბ. XVI-1). ტანი—ოთხწახნაგაა, შვეტი. ფართო სამუშაო პირს მკვეთრად აქვს გამოსახული ნიღრები. პირი ცალ მხარეს ოდნავ მოხრილია და დამატებით გამოკვეთილი. ფხაც შესაბამისად აქვს ნალესი. ყუახმარების პროცესში მიყენებული დარტყმისაგან დაბეჭილია. იარაღი ნაპოვნია ქვემო სვანეთში (ცხენისწყლის ხეობა), სოფელ ნანარში — ჯუმბერ ქურასპედიანის მიერ.

სიმაღლე — 18 სმ, ტანის საშუალო სიფართოვე — 3 სმ, სისქე — 1,2 სმ, პირის სიფართოვე — 8 სმ.

35. შ ტ ა ნ დ ა რ ტ ი ბრინჯაოსი (ტაბ. XVI-2). მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, უნომრო. ნაკლული — შემორჩენილია პირი. ამ ნაწილის მიხედვით ჩანს, რომ იარაღი მაინცდამაინც დიდი ზომისა არ უნდა ყოფილიყო. ჩამოსხმულია მოყვითალო ფერის ბრინჯაოსაგან. აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია. ნატეხის ზომები: სიგრძე — 11,2 სმ, მაქსიმალური სიფართოვე — 3,5 სმ.

36. ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი. უნომრო. ნაკლული — მოტეხილი აქვს თავი, მაგრამ ამ სახითაც იძლევა შთაბეჭდილებას, რომ იგი თავდაბრტყელებული ქინძისთავის ღეროს წარმოადგენს. აღმოჩენის ზუსტი ადგილი ცნობილი არ არის.

37. შ უ ბ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, მასრაგახსნილი (ტაბ. XVII-1).

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 385. ნაკლული — მოტეხილი აქვს მასრა. ხანგრძლივი ხმარებისა და გორაობის შედეგად ძლიერ არის გახეხილი და თავდაპირველადი კონტურებიც დაკარგული აქვს. გადარჩენილი ნაწილის მიხედვით ჩანს, რომ მას ვიწრო პირი ჰქონია. აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია.

სიგრძე (ნაკლული სახით) — 45,4 სმ, პირის საშუალო სისქე — 0,7 სმ, პირის საშუალო სიფართოვე — 2 სმ.

38. ქინძისთავი ბრინჯაოსი, ჭვირულთავიანი (ტაბ. XVII-3).

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 233. ბრტყელი დაფანჯრული თავი ზოგადად სამკუთხაა, ზემოდან მორკალული. გარშემო ერთმანეთზე მჭიდროდ მიჯრილი რელიეფური სპირალებით დამშვენებული. ღერო (ამჟამად მოლუნული) ქვემოთ, წვერისაკენ თანდათან ვიწროვდება. მსხვილი ნაწილი გახვრეტილია. ნახვრეტის თავზე მოპირდაპირე მხარეს გამოყვანილია დახვეული, რელიეფური ორნამენტი (ცხვრის რქების სტილიზებული გამოსახულება). ქინძისთავი ერთიანად არის ჩამოსხმული. ეტყობა ხანგრძლივი ხმარების ნიშნები. აღმოჩენილია სოფ. კალაში.

ქინძისთავის სიგრძე — 23 სმ, მაქსიმალური სიფართოვე — 8,5 სმ.

39. „ცხვარჩიტა“, ბრინჯაოს ქანდაკება (ტაბ. XVII-2). ინახება უშგულის მთავარანგელოზის ეკლესიაში. ქანდაკებაში გამოყვანილია ვერძის თავისა და „ფრინველის“ ტანის მქონე სტილიზებული გამოსახულება. სიგრძეზე გახვრეტილი ოვალურგანივკვეთიანი ტანის ზედაპირი რელიეფური ოთხკუთხედიანთაა დაფარული. უფრო რეალისტურად აქვს გამოსახული თავი და რქები.

ქანდაკების სიმაღლე 5,5 სმ, უდიდესი სიგანე 3 სმ.

40. საკიდი ბრინჯაოსი (ტაბ. XVI-3). საქართველოს სახ. მუზეუმი, ინვ. № 17—32: 35. ადამიანის ხელის მტევნის სტილიზებული გამოსახულება, ყუნწზე ერთი ნახვრეტით. ნაკლული, აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია.

41. საკიდი ბრინჯაოსი — ხელის მტევნის გამოსახულება, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 636. ნაკლული. თბილისში დაცული საკიდისაგან განსხვავებით, უფრო ვიწრო მოყვანილობისაა. აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია.

42. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XVIII-1). სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 207. მრგვალგანივკვეთიანი სატარე ნაწილი ოდნავ უკან არის დაქანებული, ყვრიმალზე დაუყვება სამ-სამი წიბური და ორ-ორი ფართო ღარი. მასიური შვეტი ტანი ექვსადაა დაწახნაგებული, პირი გორდაა, ასიმეტრიული. უკანა ნიღრი ნაკლული. ნაპოვნია სოფ. ქვედა იფრარში.

სიგრძე — 19,3 სმ, სატარე ნახვრეტის დიამეტრი—3,6 სმ, სამუშაო პირის სიფართოვე — 6 სმ, პირის საშ. სისქე — 2,5 სმ.

43. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XVIII-2). სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. №225. ნაკლული — მოტეხილი აქვს სატარე ნაწილი. საერთო მოყვანილობით ანალოგიურია № 689 ცულისა, მხოლოდ მისგან განსხვავდება რამდენადმე მოკლე ტანითა და უფრო გლუვი ზედაპირით. აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია.

სიგრძე (ნაკლული სახით) — 12,4 სმ, პირის საშუალო სისქე — 2,2 სმ, სამუშაო პირის სიფართოვე — 5 სმ.

44. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XVIII-3). საქართველოს სახ. მუზეუმი, ინვ. № 11—32—38. ნაკლული—მოტეხილი აქვს სატარე ნაწილი, № 227 ნიმუშისაგან განსხვავდება მხოლოდ უფრო მეტად მომრგვალებული უკანა ნიღრით, სრულად არა აქვს გამოსახული წინა ნიღრი და სატარე მიღს ეტყობა ოვალურობისაკენ მიდრეკილება. შემოწირულია დადემქელიანისაგან 1910 წელს.

სიგრძე (ნაკლული სახით) — 14 სმ, პირის საშუალო სისქე — 1,8 სმ, პირის სიფართოვე — 5,4 სმ.

45. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XIX-1). სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 390. კოლხური ტიპის, მასიური ტანი ზოგადად ექვსწახნაგაა, ძლიერ მომრგვალებული წიბურებით. ყუა ორფერდაა, გლუვი ქედით. სატარე ნახვრეტი ოვალური. ყვრიმალეზე — სამ-სამი გლუვი წიბო და ორი ფართო ღარით. ღარებში დატანილი წერტილოვანი ორნამენტი ოთხკუთხედს გამოსახავს. ტანი პირისაკენ თანდათანობით თხელდება. წინა ნიღრი არაა გამოკვეთილი და შუბლის ხაზი რკალით გადადის ფხაში.

სიმაღლე — 22,8 სმ, პირის სიფართოვე — 7 სმ, ყუის სი-
მაღლე — 2,2 სმ.

46. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XIX-2). საქართველოს სახ. მუზეუ-
მი, ინვ. №3—42: 1. კოლხური ტიპის. ანალოგიური № 390 ცუ-
ლისა, ოღონდ განსხვავდება მკვეთრად გამოსახული წიბოებით,
წინა და უკანა მხრიდან რამდენადმე შეკრილი სატარე ნაწილით
და ყვრიმალეებზე, შუა წიბოების ძირში დატანილი თითო რე-
ლიეფური კოპით.

სიმაღლე — 21 სმ, სამუშაო პირის სიფართოვე — 6,8 სმ,
ყუის სიმაღლე — 2,8 სმ.

47. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XIX-3), ინახება უშგულის მთავარ-
ანგელოზის ეკლესიაში. კოლხური ტიპის, დიდი ზომის შვეტი
ტანის წახნაგები მკაფიოდაა გამოსახული. წინა ნიღრი შუბლის
ხაზზე დევს, პირი უკანა ნიღრის ხარჯზეა გაფართოებული. ყუა
ორფერდაა, მაღალი.

სიმაღლე — 23 სმ, სამუშაო პირის სიფართოვე — 7,5 სმ,
ყუის სიმაღლე — 3 სმ.

48. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XX-1). სვანეთის ისტორიულ-ეთნო-
გრაფიული მუზეუმი. ინვ. № 208. კოლხური ტიპის. ორფერდა
დაბალი ყუა ოდნავ დაზიანებული აქვს. სატარე ნახვრეტი —
ოვალური. საერთო მოყვანილობით ანალოგიურია XIX ტა-
ბულაზე მოცემული ცულებისა, მაგრამ მათგან განსხვავდება
კიდევაც მნიშვნელოვნად უფრო ფართო პირით, დაბალი ყუი-
თა და ნაკლები ზომით. აღმოჩენის ზუსტი ადგილი ცნობილი
არ არის.

სიმაღლე — 21,5 სმ, სამუშაო პირის სიფართოვე — 8,5 სმ,
სმ, ყუის სიმაღლე — 1,4 სმ.

49. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XX-2). ნაპოვნია აფხაზეთ-სვანეთში,
სოფ. აჯარაში. კოლხური ტიპის, პირი ფართო აქვს. წინა ნიღ-
რი შუბლის ხაზზე ძევს. ყუა—ორფერდაა, დაბალი. ეტყობა
ხანგრძლივი ხმარების ნიშნები. ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ.
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

სიმაღლე — 21,3 სმ, პირის სიფართოვე — 8 სმ, ყუის სი-
მაღლე — 1,3 სმ.

50. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XX-3). სვანეთის ისტორიულ-ეთნო-
გრაფიული მუზეუმი, უნომრო. კოლხური ტიპის. ნაკლები—
მოტეხილი აქვს სატარის უმთავრესი ნაწილი. ტანისა და პი-
რის ფორმა ანალოგიურია ამავე ტაბულაზე მოცემული სხვა

ცულებისა. ოღონდ მათგან განსხვავებით, უკანა ნიღრი წერტილოვანი ორნამენტით აქვს შემკული. ნაპოვნია სოფ. ნაკრაში.

სიმაღლე (ნაკლული სახით) — 15 სმ, პირის სიფართოვე — 7,8 სმ.

51. ცული ბრინჯაოსი კოლხური ტიპის, (ტაბ. XX-4). დაბალი, ორფერდა ყუა ძლიერი დარტყმისაგან მთლიანად ჩაპყლელი აქვს. პირი უკანა ნიღრის ხარჯზე ძლიერ გაფართოებულია. სამუშაო პირის ხაზი — ფხა მთლიანად დაჩეჩქვილი აქვს. ინახება უშგულის მთავარანგელოზის ეკლესიაში.

სიმაღლე — 18,3 სმ, პირის სიფართოვე — 8 სმ, ყუის სიმაღლე დაახლოებით — 1 სმ.

52. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XXI-1). სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 909. კოლხური ტიპის. იგი მსგავსია ტაბ. XX-ში მოცემული ცულებისა, ოღონდ, მათგან განსხვავებით, დაწახნაგებული ყუა ოდნავ მოყელილი აქვს, რამდენადმე შეზნეჩილია შუბლის ხაზი, ზომითაც უფრო მცირეა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი XIX—XX ტაბულებზე მოცემულ ცულებთან გენეტიკურ კავშირშია. ნაპოვნია სოფ. კალაში.

სიმაღლე — 19,2 სმ, ყუის სიმაღლე — 2,3 სმ, პირის სიფართოვე — 7,4 სმ.

53. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XXI-2). საქართველოს სახ. მუზეუმი, ინვ. № 11—32: 6. კოლხური ტიპის, ანალოგიური ზემოაღწერილი ცულისა. განსხვავდება მხოლოდ რამდენადმე უფრო დიდი ზომით და ყუის გლუვი წახნაგებით. ცული ნაკლულია — მოტეხილი აქვს სამუშაო პირი, ხოლო ყუა დაჩეჩქვილი. ჩამოტანილია სვანეთიდან, აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია.

სიმაღლე (ნაკლული სახით) — 20 სმ, ყუის სიმაღლე — 2,5 სმ, სამუშაო პირის სიფართოვე — 7,5 სმ.

54. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XXI-3). საქართველოს სახ. მუზეუმი, ინვ. № 11—32: 3, კოლხური ტიპის, ნაკლული — მოტეხილი აქვს სამუშაო პირი. ანალოგიურია № 11—32: 6 ცულისა. სვანეთიდან ჩამოტანილია ექვ. თაყაიშვილის მიერ. აღმოჩენის ზუსტი ადგილი ცნობილი არ არის.

ცულის სიმაღლე (ნაკლული სახით) — 18,5 სმ, ყუის სიმაღლე — 2,3 სმ, სამუშაო პირის სიფართოვე — 7,5 სმ.

55. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XXI-4). საქართველოს სახ. მუზეუმი,

ინვ № 11—32:8. კოლხური ტიპის, ანალოგიური ინვ. № 909 ცულისა, განსხვავდება მხოლოდ რამდენადმე ნაკლები ზომით და უფრო მკვეთრად მოყვლილი ყუით. ჩამოტანილია სვანეთიდან. აღმოჩენის ზუსტი ადგილი ცნობილი არ არის.

ცულის სიმაღლე — 17,7 სმ, ყუის სიმაღლე — 2 სმ, სამუშაო პირის სიფართოვე — 7 სმ.

56. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XXI-5). კოლხური ტიპის, ანალოგიური ზემოთ აღწერილი ცულებისა, ზედაპირი დაფარულია მუქი პატინის თხელი ფენით. აღმოჩენილია სოფ. უშგულში.

ცულის სიმაღლე — 18 სმ, პირის სიფართოვე — 8 სმ.

57. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XXII-1). სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 221. კოლხური ტიპის. ანალოგიურია XXI ტაბულაზე მოცემული ცულებისა, ოღონდ მათგან განსხვავდება ნაკლები ზომით, უფრო დახვეწილი ფორმით, მკაფიო წახნაგებითა და თვალსაჩინოდ გამოსახული წინა ნიღრით. ნაპოვნია ეცერში.

სიმაღლე — 19 სმ, პირის სიფართოვე — 7 სმ.

58. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XXII-2). კოლხური ტიპის, ნაკლული — მოტეხილი აქვს პირის სამუშაო ნაწილი. ფორმით იდენტურია ზემოთ დასახელებული (ტაბ. XXII-1) ცულისა, ოღონდ ზომით რამდენადმე ნაკლებია მასზე. ნაპოვნია სოფ. ნაკრაში. ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

ცულის სიმაღლე (ნაკლული სახით) — 13,5 სმ, პირის სიფართოვე — 5,5 სმ.

59. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XXXI-3). სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 375. კოლხური ტიპის, ზედაპირი დაფარულია კეთილშობილი მწვანე პატინით, რომელიც ალაგ-ალაგ ამოვარდნილია. ამ ცულის თავისებურებაა ყვრიმალეებზე გამყოლი ოთხ-ოთხი წვრილი ღარი და რამდენადმე უფრო გრძელი ყუის ქედი. სხვა მხრივ, იგი იდენტურია XXII ტაბულაზე მოცემული ცულებისა.

სიმაღლე — 18 სმ, პირის სიფართოვე — 6,2 სმ.

60. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XXII-4). საქართველოს სახ. მუზეუმი, ინვ. № 11—32 : 1. კოლხური ტიპის. ოდენტური ამავე ტაბულაზე მოცემული სხვა ცულებისა. ზომითა და მოყვანილობით განსაკუთრებით ახლოს დგას მესტიის მუზეუმში დაცულ ინვ. № 375 ცულთან, მაგრამ მისგან განსხვავებით, ზედაპირი

გეომეტრიული ორნამენტით აქვს შემკული. აღმოჩენილია სოფ. კალაში.

სიმაღლე — 17,5 სმ, პირის სიფართოვე — 6,5 სმ.

61. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XXIII-1), სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, უნომრო, კოლხური ტიპის. ნაკლული — მოტეხილი აქვს სატარე ნაწილი. სატარე ხვრელი წვეტიან-ოვალური ჩანს, ყვრიმალის ძირზე შემორჩენილია ორი ღარისა და სამი წიბურის ქვედა ბოლო. ტანი ექვსწახნაგა: შვეტი, წელს ქვემოთ ორივე მხარეს თანდათანობით ფართოვდება, უმეტესად კი უკანა ნიღრის ხარჯზე. არამკვეთრად გამოსახული წინა და უკანა ნიღრები თითქმის ერთ ღონეზე დევს, რის გამო სამუშაო პირის რკალი თითქმის სიმეტრიულია.

ცული ნაპოვნია 1957 წ. ნაკრის თემში, სოფ. ხერხვაში, იქვე მცხოვრებ ვ. ცინდელიანის მიერ.

ცულის სიმაღლე (ნაკლული სახით) — 15,4 სმ, სამუშაო პირის სიფართოვე — 6,8 სმ.

62. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XXIII-2). მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 321. კოლხური ტიპის, მასიური ექვსწახნაგა, შვეტილ ტანს ეტყობა მიდრეკილება ორგზის მოღუნულობისაკენ. სქელი ტანი ქვემოთ თანდათანობით თხელდება. ყველაზე მეტად ვიწროვდება სატარე ნაწილში. ყუა მაღალი, მახვილი და უკანა ნიღრისაკენ დაქანებული აქვს. სატარე ნახვრეტი ძლიერ წვეტიან-ოვალურია, ყვრიმალეებზე, შუა წიბურის ძირში თითო რელიეფური კოპი აზის. ილიასთან მარცხენა წახნაგზე ამოჭრილია დამლა Z, კარგად აქვს გამოსახული წინა ნიღრიც. პირი გორდაა, ოდნავ ასიმეტრიული.

ცულის სიმაღლე — 21 სმ, ყუის სიმაღლე — 3 სმ, პირის სიფართოვე — 8,5 სმ.

63. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XXIII-3). ერმიტაჟის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ფონდები. ინვ. № 1739—3, კოლხური ტიპის, ტანი ექვსწახნაგაა, არამკვეთრად ორგზის მოღუნული, სატარე ნახვრეტი წვეტიან-ოვალურია, ყუა — მაღალი, მრავალწახნაგა. ცული შემკულია სხვადასხვა სახის გეომეტრიული და ცხოველური მოტივებით. აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია.

ცულის სიმაღლე — 17,5 სმ, ყუის სიმაღლე — 2,5 სმ, სამუშაო პირის სიფართოვე — 6,2 სმ.

64. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XXIV-1). სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 393. კოლხური ტიპის, ვიწრო ექვსწახნაგა ტანი შვეტია. წვეტიან-ოვალური სატარე მილი წინა მხრიდან უფრო მკვეთრადაა შეჭრილი. ორფერდა მახვილი ყუის წინა წვერო უკანაზე უფრო მაღალია. აქედან დაშვებული წიბური პირის წინა ნიღრამდე აღწევს. უკანა წიბური კი — სატარე მილის უკანა პირს შემოუყვება. მესამე წიბური უკანა ნიღრთან იწყება, ყვრიმალის დასაწყისში მკვეთრად უხვევს და სატარე ნახვრეტის ქვედა ნაწილის მოხაზულობას იმეორებს. სამუშაო პირის ხაზი გორდაა, ძლიერ ასიმეტრიული. ნაპოვნია სოფ. კალაში.
სიმაღლე — 15 სმ, სამუშაო პირის სიფართოვე — 5,5 სმ, ყუის სიმაღლე — 1,74 სმ.
65. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XXIV-2). ცაგერის მუზეუმი, ინვ. № 183. კოლხური ტიპის, ანალოგიური № 393 ცულისა. აღმოჩენილია 1944 წ. ლენტეხის რაიონის სოფ. სასასში.
სიმაღლე — 16,5 სმ, სამუშაო პირის სიფართოვე — 6 სმ.
66. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. № XV-1). საქართველოს სახ. მუზეუმი. ინვ. № 11 — 32 : 30. კოლხური ტიპის. იგი არსებითად იმავე ნიშნებით ხასიათდება, როგორც კალისა და სასასის (ტაბ. XXIV) ცულები. ოღონდ მათგან განსხვავდება კიდევაც რამდენადმე უფრო სიმეტრიული სამუშაო პირით. ნიღრზე დაწყებული წინა წიბური ყუის წვერამდე აღწევს, ხოლო უკანა ნიღრიდან ამოსული შუა წიბური ყუასთან იკარგება. ყვრიმალის არეში კი ორივე წიბური ერთ რელიეფურ წიბურად ერთიანდება. ცული შემკულია ორნამენტით. შემოწირულია დადგეშქელიანისაგან 1910 წ. ნაპოვნია ეცერში.
სიმაღლე—16,2 სმ, სამუშაო პირის სიფართოვე—5,4 სმ.
67. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XXV-2). საქართველოს სახ. მუზეუმი. ინვ. № 11—32 : 32). კოლხური ტიპის, ნაკლული, მოტეხილი აქვს სატარე ნაწილი. ისეთივე ფორმის, როგორიც № 11—32 : 30 ცულია, მაგრამ რამდენადმე განსხვავდება მისგან შედარებით უფრო მასიური ტანით და თითქმის სიმეტრიული სამუშაო პირით. სვანეთიდან ჩამოტანილია ა. შანიძის მიერ, 1921 წელს.
სიმაღლე (ნაკლული სახით) — 11, 6 სმ, პირის სიფართოვე — 6,7 სმ.
68. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XXVI-1). საქართველოს სახ. მუზეუმი.

მი, ინვ. № 11—32 : 39. აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ტიპის. ყუა ტარისაკენ დაქანებული აქვს; სატარე ნახვრეტი — ოვალური, პირი მაღალი სეგმენტური მოყვანილობისა. ფრთები — დაბალი, წაკვეთილი, ეტყობა ხმარების ნიშნები. ცული სვანეთიდან ჩამოუტანია ექვ. თაყაიშვილს 1911—1912 წწ. აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია.

სიმაღლე — 14,5, პირის სიფართოვე — 10 სმ, სატარე ნახვრეტი — 3 სმ×4,3 სმ-ზე.

69. ცული ბრინჯაოსი (ტაბ. XXVI-2). საქართველოს სახ. მუზეუმი, ინვ. № 11—32 : 43. აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ტიპისა. სვანეთიდან ჩამოტანილია დადუშქელიანის მიერ, 1910 წელს. აღმოჩენის ზუსტი ადგილი ცნობილი არ არის.

70. ცული ბრინჯაოსი, საქართველოს სახ. მუზეუმი, ინვ. № 11 — 32 : 44. აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ტიპისა. ჩამოტანილია სვანეთიდან 1911—1912 წწ. ექვ. თაყაიშვილის მიერ. აღმოჩენის ზუსტი ადგილი ცნობილი არ არის.

71. სატევარი ბრინჯაოსი (ტაბ. XXVII-1). სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 647. წინააზიური ტიპისაა. ნაკლული — მოტეხილი აქვს წვერი. ბრტყელი სახელურის კიდეები იმდაგვარად არის ამოწეული, რომ შიგ მჭიდროდ ჩაჯდეს რქის (ხის ან ძვლის ნაწილები. მათივე დამაგრების მიზნით, დატანილი აქვს სამი სამანჭვლე ნახვრეტი. პირის ზედაპირი გლუვია, კეთილშობილი პატინით დაფარული, განიკვეთში ძლიერ წვეტიანოვალურია. წვეროსა და მჭრელი ნაპირებისაკენ თანდათანობით თხელდება. სატევარი ნაპოვნია ზემო სვანეთში, 1932 წ. სოფელ ეცერში.

სატევარის სიგრძე (ნაკლული სახით) — 23 სმ, სახელურის სიგრძე — 10, 9 სმ, პირის უდიდესი სიფართოვე — 4,1 სმ, სისქე — 0,4 სმ.

72. სატევარის პირი ბრინჯაოსი, ყუნწიანი (ტაბ. XXVII-2). სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდები, ინვ. № 439. ნაკლული — მოტეხილი აქვს წვერი და სატარე ყუნწის მნიშვნელოვანი ნაწილი. მხრები ძლიერ დაქანებული აქვს. პირის განიკვეთი წვეტიან-ოვალურია, შუა ხაზზე გასდევს დაბალრელიეფური გლუვი ქედი. ნაპოვნია 1937 წ. იფარის თემში.

სატევარის სიგრძე (ნაკლული სახით) — 13,3 სმ, პირის

სიფართოვე მხრების არეში — 3,2 სმ, პირის საშუალო სიგრძე — 0,5 სმ.

73. სატევარი ბრინჯაოსი საქართველოს სახ. მუზეუმი, ინვ. № 2—23 : 2. ნაკლული — შემორჩენილია მხოლოდ სახელური, რომელიც ანალოგიურია ზემოთ აღნიშნული სატევრისა, ოღონდ მისგან განსხვავებით — უფრო დიდია და ტარზე სამანჭვლე ნახვრეტებს მოკლებული. ორივე იარაღი ნაპოვნია ერთად. საქართველოს მუზეუმისათვის 1933 წ. გადაუცია სოფ. ეცერში მცხოვრებ რაჟდენ გურჩიანს.

სატევრის სახელურის სიგრძე — 12,3 სმ, პირის სიფართოვე მხრების არეში — 7 სმ.

74. სატევარი ბრინჯაოსი (ტაბ. XVII-4). სვანეთის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 358. ბრინჯაოს „ანტენისებური“ ტარით, რომელიც ბოლოში გახვრეტილია, ხოლო ვადასთან შეჭრილი. თხელი პირი ხმარებისაგან მოცვეთილია. არაზუსტი ცნობებით, ნაპოვნი უნდა იყოს სოფ. ლენჯერში.

საერთო სიგრძე (ნაკლული სახით) — 12,5 სმ.

75. სატევარი ბრინჯაოსი (ტაბ. XVII-3). მცირე ზომის, ნაკლული ყუნწი ბრტყელია. წამახული პირის შუა ხაზზე დაუყვება საკმაოდ მკვეთრი ქედი. ნაპოვნია კალას თემში, სკაარეშის გორაზე. გვიანი ბრინჯაოს ხანის დანგრეულ ფენებში.

76. შუბის პირი ბრინჯაოსი (ტაბ. XXVIII-1). ნაკლული — მოტეხილი აქვს წვერი. მასრაგახსნილი, მასრის ბოლოში წყვილი სამანჭვლე ნახვრეტით. პირი — გრძელი, შუა ხაზზე მკვეთრად აქვს გამოსახული წვერომდე გამყოლი ფართო მრგვალგანიკვეთიანი ქედი. ფრების სისქე მჭრელი პირისაკენ თანდათანობით მცირდება. ნაპოვნია კალის თემში, სოფ. აგრაიში ხარძიანის მიერ.

შუბის პირის საერთო სიგრძე — 29,5 სმ, მასრის სიგრძე — 15 სმ, პირის მაქსიმალური სიფართოვე — 4,3 სმ.

77. შუბის პირი ბრინჯაოსი (ტაბ. XXVIII-2). საქართველოს სახ. მუზეუმი, ინვ. № 13—67 : 1. ნაკლული—მოტეხილი აქვს წვერი და მასრის ნაწილი, მხრებდაქანებული, პირი ვიწრო და გრძელი, მასრაგახსნილი, მასრის გაგრძელებით პირის შუა ხაზზე წვერომდე გამყოლ მრგვალ ქედს ორივე მხარეს ვიწრო წიბურები დაუყვება. მხრებთან ახლოს მასრას გარს არტყია ზენური ორნამენტის ორი ზოლი, რომლებიც შემოსაზღვრულია ორ-ორი ხაზით. მათ შუა მოქცეული ვიწრო არე ირიბი

ხაზებიტაა დასერილი. ზედაპირი დაფარულია კეთილშობილი მწვანე პატინით. აღმოჩენილია მესტიის რაიონის იფარის თემში, ლასილის გადასასვლელთან—ადგილ „მეფყაშში“ 1946 წ. ვ. პირველის მიერ.

შუბის პირის საერთო სიგრძე (ნაკლული სახით)—17,5 სმ, პირის უდიდესი სიფართოვე — 2,5 სმ.

78. კვერთხის თავი ბრინჯაოსი (ტაბ. XXVIII-3), სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 228. ექვსფრთიანი, სატარე მილი და ფუძე მრგვალგანივკვეთიანია. იარაღი ერთიანად არის ჩამოსხმული. ეტყობა ხანგრძლივი ხმარების (დარტყმის) კვალი. აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია.

კვერთხის თავის სიმაღლე — 6,7 სმ, სატარე მილის დიამეტრი — 2,1 სმ, ფრთების სიმაღლე (დაბეჯილი სახით) — 2,3 სმ.

79. კვერთხის თავი ბრინჯაოსი (ტაბ. XXVIII-4). სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 330. ექვსფრთიანი, ერთიანად ჩამოსხმული, სატარე მილი და ფუძე მრგვალგანივკვეთიანია, პირველი კვერთხის თავთან შედარებით, ფრთები უფრო დიდი და თხელი აქვს. ეტყობა ხმარების კვალი. მოტეხილი აქვს სამი ფრთა. აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია.

კვერთხის თავის სიმაღლე — 3 სმ, სატარე მილის დიამეტრი — 32 სმ, ფრთების სიმაღლე — 2,5 სმ.

80. სატეხი ბრინჯაოსი (ტაბ. XXIX-1). საქართველოს სახ. მუზეუმი, ინვ. № 26—35 : 14. მასრიანი ტანი მრავალწახნაგაა, ძლიერ მომრგვალეებული წიბურებით. ბრტყლად გამოსახულია მხოლოდ სამუშაო პირის გაგრძელებაზე მდებარე ორი მოპირდაპირე წახნაგი, რომლებიც ზემოთ თანდათანობით იკარგებიან. მასრის ფართო ბოლოში ორი წიბური და მათ შორის ერთი დარი შემოუყვება. აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია.

სატეხის სიმაღლე — 15,5 სმ, პირის სიფართოვე — 2,2 სმ.

81. სატეხი ბრინჯაოსი (ტაბ. XXIX-2). სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 230. ტანი ექვსწახნაგაა, პირის გაყოლებაზე მდებარე მოპირდაპირე სიბრტყეები, სხვა დანარჩენებთან შედარებით, უფრო ფართოა. მასრა კონუსური, ოვალურგანივკვეთიანი, ფართო ბოლოში შემოუყვება რელიეფური წიბური. ზედაპირი დაფარულია კეთილშობილი მუქი მწვანე პატინით. სატეხი აღმოჩენილია სოფ. უშგულში.

სიმაღლე — 16,7 სმ, მასრის სიგრძე — 9,5 სმ, მაქსიმალური სისქე — 3×4 სმ-ზე, სამუშაო პირის სიფართოვე — 2,5 სმ.

82. სატეხი ბრინჯაოსი (ტაბ. XXIX-3). საქართველოს სახ. მუზეუმი, ინვ. № 11—32 : 62. მოკლე ტანი ზემოთ ოვალურ განივკვეთიანია, ქვემოთ — თანდათანობით გამოისახება ორი სიბრტყე, რომლებიც სამუშაო პირის ბრტყელ ფორმას წარმოშობენ. კონუსური მასრა ოვალურგანივკვეთიანია. ფართო ბოლოში რელიეფური წიბური შემოუყვება. აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია.

სატეხის სიმაღლე — 12 სმ, სამუშაო პირის სიფართოვე — 2,7 სმ.

83. ბრტყელი „ცული“ ბრინჯაოსი (ტაბ. XXX-1). სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 404. ოთხწახნაგა, შვეტი ტანის ვიწრო გვერდებზე თითო კოტიანური შვერილით. ყუის თავზე შემოუყვება დაბალი რელიეფური წიბური, პირი გორდაა. სიმეტრიული, მკვეთრად გამოსახული ნიღრებით. თანაბარი სისქის ტანი და პირი მკვეთრად თხელდება მხოლოდ ფხის არეში, კარგად ეტყობა პირის დამატებითი გამოკვერვის კვალი, ასევე ხმარების ნიშნები ყუისა და პირის არეში. აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია.

სიმაღლე — 16,5 სმ, ყუის სიგანე — 3 სმ, გვერდითი შვერილების სიმაღლე — 0,6 სმ, სამუშაო პირის სიფართოვე — 6 სმ, მაქსიმალური სისქე — 1 სმ.

84. ბრტყელი „ცული“ ბრინჯაოსი (ტაბ. XXX-2). სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 229, ნაკლული — მოტეხილი აქვს ყუა, ვიწრო გვერდებზე თითო კოტიანური შვერილით. ტანი პირისაკენ თანდათანობით ფართოვდება. პირი და ყუა ხმარებისაგან აქვს დაზიანებული. აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია.

იარადის სიმაღლე — 15,8 სმ, პირის სიფართოვე — 6,5 სმ, მაქსიმალური სისქე — 0,9 სმ, შვერილების სიმაღლე — 1 სმ.

85. ბრტყელი „ცული“ ბრინჯაოსი (ტაბ. XXX-3). ინახება უშგულის მაცხოვრის ეკლესიაში, ანალოგიური მესტიის მუზეუმში დაცული № 404 ცულისა, მაგრამ მისგან განსხვავებით, უფრო დიდი ზომისა და მკვეთრად გამოსახული წიბურებით ხასიათდება. აღმოჩენილია სოფ. უშგულში.

სიმაღლე — 18,5 სმ, სისქე — 0,5 სმ, პირის სიფართო-
ვე — 6,5 სმ.

86. თოხი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXI-1). სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 402. ბრტყელ და ვიწრო ტანს დაახლოებით დაფნის ფოთლისებური მოყვანილობა აქვს. წვეტიანი სამუშაო პირი ხმარებისაგან თანაბრად მოცვეთილია და საწინააღმდეგო მხარეს გადაღუნული, მხრები ძლიერ დაქანებულია, სატარე მილი მრგვალგანივკვეთიანია და მოკლე. აღმოჩენილია 1941 წ. ჭუბერის ხეობაში, ა. გაბლიანის მიერ.

სიმაღლე — 19 სმ, სატარე ნახვრეტის — 2,6 სმ, უდიდესი სისქე — 0,4 სმ, სიგანე — 4,5 სმ.

87. თოხი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXI-2). ნაკლული — მოტეხილი აქვს წვერი. ანალოგიური სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული თოხისა. ოღონდ მათგან განსხვავდება მეტი მასიურობით, შუა არეში გაფართოებული პირით, უფრო დახვეწილი კონტურებითა და შიგნითა მხარეს, შუა ხაზზე გამყოლი ისრის რელიეფური გამოსახულებით. ნაპოვნია სოფ. ლატალის თემში, ინახება იქვე სოფ. ლაპილის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში.

88. ნამგლის ჩასართი კაყისა (ტაბ. XXXII-1). ოდნავ მოხრილი ფორმის, სამუშაო პირი ხერხისებურად აქვს დაკბილული, ზურგი სადაა, ნაპირები სწორად ჩამოტეხილი, შუახაზზე რამდენადმე უფრო სქელი. ნაპოვნია კალას თემში, სკარეშის გორაზე ბრინჯაოს ბრტყელყუნწიან მინიატურულ სატევართან ერთად გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურული ფენის ნანგრევებში.

სიგრძე „ 4,5 სმ, სიფართოვე — 2,5 სმ, სისქე — 0,4 სმ.

89. ნამგალი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXII-2). სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 570. ნაკლული — მოტეხილი აქვს ტარდასაგები ყუნწი, ნაგორაობისა და ხშირი ხმარებისაგან კიდევები მოგლუვებულია. ყუის მხარე რამდენადმე უფრო სქელი აქვს და მჭრელი პირისაკენ თანდათანობით გათხელებული. ნაპოვნია 1941 წ. ჭუბერის (ხაიში) ხეობაში, ალფეზ გაბლიანის მიერ.

სიგრძე — 16,5 სმ, პირის სიფართოვე — 2,4 სმ, საშუალო სისქე — 0,3 სმ.

90. ნამგალი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXII-3). ყუნწიანი. ნაკლული — მოტეხილი აქვს წვერო, ყუნწის ნაწილი და ყუის შუა მონაკვეთზე გამოსახული შვერილი, ნამგალი საკმაოდ მასიურია. სამუშაო პირსა და ტარდასაგებ ყუნწს ერთმანეთისაგან მიჯნავს მკვეთრად გამოსახული შვერილი. ყუნწი ოთხწახნაგაა, ტრაპეციული განივკვეთიანი. ინახება უშგულის მთავარანგელოზის ეკლესიაში.
- სიგრძე (ნაკლული სახით) — 23 სმ, საშუალო სიფართოვე — 4,2 სმ, საშუალო სისქე (ყუის ხაზზე) — 0,5 სმ.
91. ნამგალი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXII-4). ყუნწიანი, ძლიერ მორკალული ფორმის, ყუის მხარე მნიშვნელოვნად უფრო სქელი. ყუნწი ოთხკუთხაგანივითაა. ეტყობა ხმარების კვალი. ინახება უშგულის მთავარანგელოზის ეკლესიაში.
- სიგრძე — 14 სმ, სიფართოვე — 2,2 სმ, ყუის საშუალო სისქე — 3,3 სმ.
92. გულსაკიდი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXIII-1). დისკოსებური შიგნითა მხარე გლუვია. გარეთა მხარე კი შემკულია რელიეფური ორნამენტით. ცენტრში მოთავსებული რელიეფური კოპიდან თავისებურად იშლება სწორი და კლაკნილი ხაზები. გარე რკალზე შემოუყვება რელიეფური წრეხაზი; გულსაკიდი ინახება უშგულის მაცხოვრის ეკლესიაში.
- გულსაკიდის დიამეტრი — 7,5 სმ, სისქე — 0,5 სმ.
93. ხარის ქანდაკება (ტაბ. XXXIII-2). სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. უნომრო, ნაკლული — მოტეხილი აქვს მარჯვენა წინა ფეხი. ქანდაკება ერთიანად არის ჩამოსხმული. საკმაოდ მეტყველი საერთო ასახულობით გადმოცემულია არა მარტო ზოგადი ფორმა ცხოველისა, არამედ გარკვეულად დანაწევრებული მოცულობაც; სრულიად მკაფიოდ გამოსახულია ცალკეული დეტალები: ხარის თავი წინ წაზიდული დრუნჩით; მოზრდილი, რელიეფურად აზიდული თვლებით, რამდენადმე უტრირებული რქებითა და ზურგის ქედით. განსაკუთრებით მეტყველია და გამომსახველი ქანდაკების სილუეტი (პროფილი) — აშკარად იგრძნობა ცხოველის დიდი ძალ-ღონე და შემართება. ქანდაკება ნაპოვნია სოფ. მულახში ხვნის დროს.
94. სამაჯური ბრინჯაოსი (ტაბ. XXXIII-3). დაცულია ერმიტაჟში, ინგ. № 1739—4, სამწახნაგოვანი მავთულისაგან. ცალ

ბოლოში მავთული ხუთწყება მჭიდრო ხვიათი მთავრდება. აღ-
მოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია. სიგრძე — 13,8 სმ.

95. ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXIII-4). სვანეთის ისტორი-
ულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, უნომრო, მრგვალგანივკვეთია-
ნი, ორი მსუბუქი ღარით მოყვლილი მომრგვალელებული თავით.
მრგვალნახვრეტიანი ყუნწით. აღმოჩენის ზუსტი ადგილი უც-
ნობია.

სიგრძე — 10,5 სმ.

96. დ ე რ გ ი თიხის (ტაბ. XXXIV — IX). სვანეთის ისტორიულ-
ეთნოგრაფიული მუზეუმი. უნომრო, ნაწილობრივ აღდგენილი
ორყურა, პირგადაშლილი, მუცელგანიერი, დაბალი ყელითა და
ბრტყელი ძირით. ზედაპირი მოვარდისფროა, ნაპრიალები. ყვე-
ლაზე მსხვილ არეში — ყურების დონეზე — შემოუყვება ორი
პარალელური ღარი. კეცი მონაცრისფროა და ნაკეთებია ჩა-
რხზე.

დერგის სიმაღლე — 53 სმ, უდიდესი სიმსხო — 56 სმ,
კეცის საშუალო სისქე — 0,5 სმ.

97. ქ ო თ ა ნ ი თიხის (ტაბ. XXXIV-2), სვანეთის ისტორიულ-ეთ-
ნოგრაფიული მუზეუმი, უნომრო, ნაწილობრივ აღდგენილი.
უყურო, თითქმის პირმოყრილი მუცლის არეში მნიშვნელოვ-
ნად გამობერილი. ბრტყელძირიანი. ვარდისფერი ზედაპირი
ნაპრიალები აქვს. კარგად ეტყობა ვერტიკალური ხაზები. მხრე-
ბის არეში შემოუყვება გეომეტრიული ორნამენტით შემკული
სარტყელი. მუცელზე კი ვერტიკალურად განლაგებული ორ-
ნამენტით. ქოთანი გაკეთებულია ჩარხზე.

სიმაღლე — 15 სმ, უდიდესი დიამეტრი — 19 სმ, კეცის
საშუალო სისქე — 0,5 სმ.

98. ქ ო თ ა ნ ი თიხის, (ტაბ. XXXIV-3), მუქი ყავისფერი, არათანაბ-
რად გამომწვარი, უხეში მსხვილმარცვლოვანი კეცით. ხელით
ნაძერწი. გარეთა ზედაპირზე ეტყობა გაპრიალების კვალი. ქო-
თანს აქვს დაბალი ყელი და გადაშლილი პირი. კარგად გამო-
სახული მხარი ჭურჭელს აძლევს მსხლისებურ ფორმას. ძირი
ბრტყელია. მხრისა და მუცლის გარდატეხის არეში შემოუ-
ყვება ირიბი ჭდეებისაგან შედგენილი ორნამენტი. ქოთანი
ცალყურაა. ბრტყელი ყური მიბმულია პირსა და მხარზე. ყუ-
რის ზედაპირი შემკულია ირიბი ღრმა ნაჭდევებით. ნაპოვნია
ჭუბერის ხეობაში, სოფ. სგურიშში დ. ნარსავიძის მიერ.

სიმაღლე — 13 სმ, პირის დიამეტრი — 14 სმ, ძირისა — 7 სმ, მუცლისა — 16,5 სმ.

99. ტოლჩა თიხის, სამი ნატეხი (ტაბ. XXXV-1—3), მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. უნომრო. ცალყურა, სწორკედლებიანი, ხელით ნაძერწი, შავლევად გამომწვარი. ბრტყელი მრგვალნახვრეტიანი ყურის ზედა ბოლო პირზეა მიძერწილი. პირზე შემოუყვება რელიეფური არასიმეტრიულად დაკეცილი სარტყელი. გარეთა ზედაპირი შემკულია უხეშად შესრულებული ნაკაწრი ორნამენტით. ძირი შეზნექილია, ოდნავ გამდგარი ქუსლი — დაკბილული. ნაპოვნია ეცერის თემში, ადგილ „ლადრელში“.

ჭურჭლის სავარაუდო სიმაღლე — 11 სმ, პირის დიამეტრი — 8 სმ, კეცის საშუალო სისქე — 0,7 სმ.

100. სადგარი თიხის (ტაბ. XXXVI-1). მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, უნომრო, ნაკლული. მოვარდისფროდ გამომწვარი. ერთ ბოლოში გახვრეტილი, ბრტყელი გვერდები წრეხაზის რიგებით შემკული. ნაპოვნია სკაარეშის გორაზე, კალას თემში.
101. ბათქაში თიხის. მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, უნომრო. წითლად გამომწვარი, სხვადასხვა ფორმის. ნაპოვნია სკაარეშის გორაზე, კალას თემში.
102. ზოდები სპილენძის, 6 ცალი (ტაბ. XXXVII-1—6), სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 206. ზოდები სეგმენტისებური მოყვანილობისაა, 3 ცალი მთელია, დანარჩენი კი მეტ-ნაკლები ზომის ნატეხებს წარმოადგენს. ზოდები აღმოჩენილია 1962 და 1970 წწ. კალის თემში, სოფ. ვიჩნაშთან — სკაარეშის გორაზე, ვრიგოლ და მუშნი ხარძიანების მიერ.

უდიდესი ზოდის წონა — 7,2 კგ.

103. ზოდები სპილენძის (ტაბ. XXXVII-7—8). სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, უნომრო, მეტ-ნაკლები ზომის, უსახური ნატეხები. აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია.
104. ზოდი სპილენძის, ნატეხი (ტაბ. XXXVII-9). მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, უნომრო, აღმოჩენილია ლასილის ხეობაში, 1941 წელს, ოქროს ძიების დროს.
105. ზოდები სპილენძის, 3 ცალი (ტაბ. XXXVII-10—12), სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 206. სეგმენტისებური მოყვანილობის, ერთი მთელი და ორი ნაკ-

ლული. უდიდესი ზოდი წარმოადგენს სეგმენტის ნახევარს, მისი წონა უდრის — 36 კგ, ზოდები აღმოჩენილია ჭუბერის ხეობაში.

106. ზოდი სპილენძის, ერთი ცალი. საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდები, უნომრო, თხელი სეგმენტისებური მოყვანილობის. აღმოაჩინა შემთხვევით 1953 წ. კალის თემის სოფ. იფარის ჩრდილოეთით მდებარე „ლუნასყე“-ს ბორცვზე — წიღებთან ერთად რ. დადვანმა. სულ 4 ზოდია აქ ნაპოვნი. საქართველოს მუზეუმში დაცული ზოდი სვანეთიდან ჩამოუტანია მ. ჩართოლანს, ხოლო 3 ზოდი, დღემდე, აღმომჩენთან ინახება.
107. ზოდი სპილენძის, მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, უნომრო, არაზუსტი კვადრატული მოყვანილობის. ნაპოვნია მდ. ნაკრის მარცხენა მხარეს, სოფლის დასავლეთით, მეორე ასეთსავე ზოდთან და ლითონის წიღებთან ერთად. ერთი ზოდი დაკარგულია.
108. ზოდი სპილენძის, ნაპოვნია 1971 წ. ნაკრის ხეობაში, ადგილ „ლამჯვინალ“-ზე ა. ცინდელიანის მიერ. ზოდი ინახება აღმომჩენთან.
109. ზოდი სპილენძის, ნატეხი. ინახება ისტორიის ინსტიტუტის ბრინჯაო-აღრერკინის ხანის განყოფილებაში, აღმოჩენილია შემთხვევით ჭუბერის ხეობაში, სოფ. ლეწფერში.
110. წიღები სპილენძის (ტაბ. XXXVI-2; XXXVIII-1, 2). სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, უნომრო, აღმოჩენილია სოფ. კალაში — სკაარემის გორაზე, სოფ. ეცერში და ლეწფერში (ჭუბერის ხეობა).
111. ქვასანაყი (როდინი) 2 ცალი, (ტაბ. XXXIX-1, 2). ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, უნომრო, საშუალო ზომის რიყის ქვებია მოპირდაპირე მხარეებზე თითო ფართო ღრმულით. აღმოჩენილია ეცერში.
112. ქვასანაყი (როდინი), 1 ცალი (ტაბ. XXXIX-3). ჭუბერი, სოფ. ზედა მარლი. გრანიტის ლოდზე ამოჭრილი ერთი ხვრელით. გადატეხილია შუაზე.
113. ქვასანაყი (როდინი), ტაბ. XXXIX-4, 5. დიდი ზომის, ადგილიდან ძნელად დასაძრავ ლოდებზე თითო მოჭრილი

ხვრელით, ხვრელის საშუალო ზომა 10×14 სმ. 2 ცალი აღმოჩენილია კალაში, სკაარეშის გორაზე სპილენძის ზოდებთან და თიხის ჭურჭელთან ერთად.

114. ხ ე ლ ს ა ფ ქ ვ ა ვ ი (ტაბ. XL-1), ნავისებური, გრანიტისა და ქვაქვიშისაგან დამზადებული. 3 ცალი აღმოჩენილია სკაარეშის გორაზე, მეტნაკლებად დამტვრეული. საღი ეგზემპლარების საშუალო ზომებია — $25 \times 10 \times 45$ სმ-ზე.
115. ს ა ს რ ე ს ი ქვეები (ტაბ. XL-2). სხვადასხვა მოყვანილობის, ეტყობათ ხანგრძლივი ხმარების კვალი. აღმოჩენილია კალაში, სკაარეშის გორაზე. ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

* * *

დასახელებული მასალის გარდა, მხედველობაში მისაღებია სვანეთის სხვა არქეოლოგიური მონაპოვრები, რომელთა ერთი ნაწილი კვლავ მოსახლეობაშია გაბნეული, ხოლო მეორე — მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებში ადრევე შემოსული ნივთების მცირე ნაწილი — ადგილზე არ აღმოჩნდა და სადღეისოდ დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. მათ შორის აღსანიშნავია: I. მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში:

- ა) ბრინჯაოს ცული — 1 ცალი;
- ბ) ბრინჯაოს სატეხი, 2 ცალი (ინვ. № 353, 145, 146);
- გ) ნამგალი, 1 ცალი (ინვ. № 383).

აღნიშნული ნივთები მესტიის მუზეუმში 1950 წლის 2 აგვისტომდეა დაკარგული (იხ. ყოფილი დირექტორის ნ. შარაშენძის მიერ ახალი დირექტორისათვის — ა. გულედიანისათვის მუზეუმის

გადაბარების მასალები. ინახება სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში).

II. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში:

ა) ბრინჯაოს ცული, 4 ცალი. (ინვ. № 11—32 : 4, 11—32 : 5, 11—32 : 63, 14—32 : 69),

ბ) სამკაული, ათი ერთეული (ინვ. № 26—44 : 1—10). ჩვენი აღრიცხვით, დაკარგულია სულ 19 ნივთი.

შ ა ბ უ ჯ ა ბ ი


Т А Б Л И Ц Ы

ყაჩაჩი

ყაბარა-ბარყაჩეთი

სვანეთის
ბინათს ხანის
ძებევის სქემა

სვანეთი



- ზოგადი ნიშნები**
- სვანეთის საზღვრები
 - - - მდინარე და მდინარის სარკვევი
 - == გზები
 - ▲ ბინათს ხანის მთავრობის ადგილები
 - თემების საზღვრები

ყაჩაჩი



1





2



3







1







2



3



4



1 0 1 2



IV




1




2





1



2



3




4



VI




1



2



3




4






1

2







1




2



1




2





X




1




2








1



2







1

2

3







1






2



3








1




2






XVI



1




2



3



2



3

XVIII





1



2




3







1



2



—



—



3




1





2



3



4





1




2



3



4



5



1




2



3



4








1



2



3



XXIV



1
1
1




1
2








1
1
1



1
2
1







1



2







1




2



3



4







- 1 -




2





3




4




2



3







XXX



|
1
|



|
2
|




3




1




2




3



1




2



3


4



1



2



3




4


XXXIV




1




2




3






1



2



3






1



2








1



2



1




2



3




4




5

XL



1



2

სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით
*
რედაქტორი ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე
გამომცემლობის რედაქტორი ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი
ტექნიკური რედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე
მხატვარი მ. თ ა ლ ა კ ვ ა ძ ე
კორექტორი ი. ნ ა ს ა რ ი ძ ე

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე
გამომცემლობის რედაქტორი ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი
ტექნიკური რედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე
მხატვარი მ. თ ა ლ ა კ ვ ა ძ ე
კორექტორი ი. ნ ა ს ა რ ი ძ ე

გადაეცა წარმოებას 7.6.77; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.10.77;
ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆; ქალაქი № 2; ნაბეჭდი თაბახი 6.75;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.69;

უე 08926

ტირაჟი 1000;

შეკვეთა № 2461;

ფასი 85 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба» Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР. Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Шота Гаврилович Чартолани

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ ЭПОХИ
БРОНЗЫ ИЗ СВАНЕТИ

I
КАТАЛОГ

